ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 3 იანვარი, 2022 №1 (8779) ფასი: 60 თეთრი

ნინო ლომჯარია ამნისტიის კანონპროექტებს მხარს უჭერს

გვ.5

„სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება შეცდომა იყო, მაგრამ გამოჩნდა, რომ სიტყვის კაცია“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ოცნებისთვის“ ყველაზე ცუდი გასული წელი იყო... რამდენიმე საკრებულოში დათმო პოზიციები“

„ოპოზიცია ასე ველარ გააგრძელებს, ტაქტიკის ცვლილება მოუნევს“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „ზურაბიშვილი ვეტოს აუცილებლად გამოიყენებს. „ქართული ოცნება“ ვეტოს ღიად გამოცხადებულ ომად მიიჩნევს“

„ტიკარაძემ ვერ შეასრულა, რაც სააკაშვილთან დაკავშირებით შეუკვეთეს“

ვატო სურგულაძე: „ჯანდაცვის სისტემაში 50%-იც არ არის აცრილი!“

გვ.3

„2022 წელს პანდემია არ დასრულდება“



სალომე ზურაბიშვილი: „შევძლოთ ერთმანეთის მოსმენა!“

გვ.2

გვ.4

საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაცია ვერ შეჩერდება?

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ აპირებს თავისი გაფართოების გეგმები მოსკოვს შეუთანხმოს

გვ.4

სააკაშვილის თხოვნით, ნაციონალებმა შიმშილობა შეწყვიტეს

გვ.5

გახარიას თანაგუნდელ მალხაზ თორიას მამის საფლავზე 8 კაცმა სცემა

ISSN 1987-9385

2 საჯარო მოხელეებს ხელფასები 10%-ით ეზრდებათ, პენსია კი 260 ლარი გახდა

4 სააკაშვილის პირადს ხალხი აფასებს „ვერ გავიგეთ, ვისი ქმარია მიშა — ბავშვი ანგელოზია, სოფო უნიჭიერესი, სანდრა ფასდაუდებელი“

5 მუხიანში სახლი დაიწვა, რუსთავში 10 ადამიანი დაშავდა რა ზიანი მოიტანა პიროტექნიკამ

6 11 და 18 იანვარს დედამიწას 2 საშიში ასტეროიდი ჩაუვლის

„სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება შეცდომა იყო, მაგრამ გამოჩნდა, რომ სიტყვის კაცია“

ნიკა ჩიტაძე: „ოცნებისთვის“ ყველაზე ცუდი გასული წელი იყო... რამდენიმე საკრებულოში დათმო პოზიციები“

იაგო ნაცვლიშვილი

რომელ პოლიტიკურ მოვლენებს გამოყოფდა 2021 წლიდან, მიიჩნევს თუ არა სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას შეცდომად და რას ელოდება 2022 წლისგან? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

„შარლ მიშელის დოკუმენტი პარტიებს შორის დროებითი ზავი იყო“

– პირადად თქვენ რას გამოყოფდით 2021 წლიდან და როგორ ფიქრობთ, ეს წელი იყო ყველაზე ცუდი, რაც კი ჰქონია მმართველობისას „ქართულ ოცნებას“?

– ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც დაკავშირებული იყო 2021 წელთან, პირველ რიგში, ეს იყო პოლიტიკური კრიზისი და შემდეგ უკვე ე. წ. შარლ მიშელის შეთანხმება.

– ეს პოზიტიურად უნდა აღვიქვათ თუ ნეგატიურად?

– თავიდან, როდესაც ხელი მოეწერა, მაშინ ეს იყო პოზიტიურ მოვლენა, მაგრამ, კი ბატონო, შედეგი ვიცით, რაც იყო – „ოცნება“ გავიდა შეთანხმებიდან და მეორე მხრივ, ნაცმოძრაობა შეუერთდა დოკუმენტს, თუმცა, სამწუხაროდ, შეთანხმების პუნქტები პრაქტიკაში ვერ იქნა გატარებული. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ.

– დააგვიანა ნაცმოძრაობამ დოკუმენტზე ხელმოწერა?

– არა მგონია, რომ დაეგვიანა. იმიტომ, რომ მაინც ვერ შესრულდებოდა შეთანხმების ძირითადი პრინციპები. ეს იყო დროებითი დაზავება პოლიტიკურ პარტიებს შორის და კარგად გამოჩნდა. „ოცნებამ“ დატოვა შეთანხმება და ეს გააკეთა იმიტომ, რომ არ იყო დარწმუნებული, რომ მუნიციპალურ არჩევნებში 43%-ს მიიღებდა. თუმცა, სამწუხაროდ, ადმინისტრაციულ ხარჯზე და დარღვევების გამო მან მიიღო 48%-მდე, თუმცა ის არ შეესაბამებოდა დემოკრატიულ სტანდარტებს, ისევე, როგორც წინა არჩევნები, როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მიხეილ სააკაშვილის დაბრუნება საქართველოში.

– სააკაშვილის დაბრუნებამ ბევრი რაღაცა გააშიშვლა და მთლიანად დაგვანახა „ოცნების“ სახე, მაგრამ მეორე მხრივ, თითქოს ყველაფერი გაჩერდა ქვეყანაში და მხოლოდ ვტრიალებთ სააკაშვილის თემაზე. მათ შორის, თითქმის აღარავინ საუბრობს ვადამდელ არჩევნებზე. მთლიანობაში როგორ შეიძლება შეფასდეს სააკაშვილის დაბრუნება?

– ჩემი აზრით, მაინც უარყოფითად. გახსოვთ, რომ ჩვენ გვქონდა საუბარი და წავიტრაბახე კიდეც, რომ პროგნოზებში არ ვცდებიმეთქი და ვთვლიდი, რომ ის არ ჩამოვიდოდა, მაგრამ იმ შემთხვევაში მე შევცდი. მე ვამბობდი, რომ ვემხრობოდი მის საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ არა იმ გზით, როგორც ჩამოვიდა. იმიტომ, რომ წინაპირობა უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ პრეზიდენტი დაბრუნებულიყო საქართველოში.

– წინააღმდეგი იყავით იმიტომ, რომ ასეთ პროცესს პროგნოზირებდით, როგორი განვითარებაც გვაქვს?

– კი. თუმცა, იმასაც ვიძახდი, რომ არ დაბრუნდება, მაგრამ თუ დაბრუნდა, მას ბევრი პრობლემა შეექმნება-მეთქი. შეიძლება იყო გათვლა, რომ მოხდებოდა მისი მომხრეების მობილიზაცია და ხელს შეუწყობდა არჩევნებში ნაცმოძრაობის გამარჯვებას, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ინდიფერენტულად არის განწყობილი პოლიტიკური პროცესების, ან კონკრეტული პარტიების მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩევლის ნახევარზე მეტი მაინც მივიდოდა არჩევნებზე.

– ანუ, დღევანდელი გადმოსახედიდან ფიქრობთ, რომ შეცდომა იყო მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ამ ფორმით დაბრუნება?

– კი, მე მგონია, რომ მაინც შეცდომა იყო. ამას ადრეც ვაცხადებდი. რა თქმა უნდა, შეცდომა იყო და ეს გამოჩნდა. ის უკვე გამარჯვებული იყო, როდესაც უკრაინაში მოღვაწეობდა. ფაქტია, რომ იქ დაფასება ჰქონდა მას.

– თუმცა, მეორე მხრიდან რომ შევხედოთ, მოსახლეობის რაღაც ნაწილს ჰქონდა განწყობა, რომ ვერ დაბრუნდება, ვერ გაბედავს და ა. შ. ეს ხომ მაინც გააკეთა, რომ გადადგა გაბედული ნაბიჯი?

– კი, ეგ კი. ეს კარგია. გამბედაობა მნიშვნელოვანი თვისებაა. ჩერჩილს აქვს ნათქვამი: „გამბედაობა არის უდიდესი სათნოება, რომელიც შესაძლებელს ხდის ყველაფერს დანარჩენს“. თუმცა, რაღაცას რომ ბედავ, ალბათ მაინც უნდა გქონდეს გათვლილი ყველა შესაძლო შედეგი. გამოჩნდა, რომ სააკაშვილი სიტყვის კაცი ყოფილა და ვაჟკაცურად შეასრულა თავისი დაპირება, მაგრამ, მეორე მხრივ, გულდასაწყვეტია ის, რაც ხდებოდა მის გარშემო – იქნებოდა ეს გლდანის ციხე თუ გორის სამხედრო ჰოსპიტალი. გლდანის ციხეში გადაყვანის ეპიზოდზე აღარ შევჩერდები.

– მომავალზეც ვისაუბროთ. მცირე იმედი გააჩინა პრეზიდენტმა თავისი აქტივობებით. რას ელოდებით 2022 წელს და გველოდება თუ არა მნიშვნელოვანი გარღვევა?

– შესაძლებელია, რომ რაღაც გარღვევას ჰქონდეს ადგილი. არჩევნები ალბათ აღარ ჩატარდება, მაგრამ გარღვევა შეიძლება იყოს ორ ძირითად ასპექტთან: ერთი ის, რომ თუ სტრასბურის სასამართლო დაჩქარებული წესით განიხილავს მიხეილ სააკაშვილის საკითხს და შესაძლებელია ბათილად ცნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილებები, რომლის ფარგლებშიც გამოტანილია განაჩენი სააკაშვილის წინააღმდეგ. გაგახსენებთ, რომ თავის დროზე „რუსთავი 2“-ის საქმეზე შეაჩერა სტრასბურმა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

მეორე უკავშირდება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს და არ არის გამორიცხული, რომ დაეძაბოს ურთიერთობა „ქართულ ოცნებასთან“, შესაბამისად, არც ის არის გამორიცხული, რომ გაბედოს პრეზიდენტ სააკაშვილის შეწყალება.

– ეს რომ გააკეთოს, იმპიჩმენტს ხომ არ მოუწყობენ?

– იმპიჩმენტი ცოტა რთულია. იმიტომ, რომ „ოცნება“ არ ფლობს აბსოლუტურ უმრავლესობას, რომ იმპიჩმენტისთვის საკმარისი ხმები ჰქონდეს. თუ პრეზიდენტმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, მაშინ პარლამენტართა 1/3-ის თანხმობით საქმე გადაეცემა უზენაეს სასამართლოს, ხოლო თუ კონსტიტუცია დაარღვია, საკონსტიტუციო სასამართლოს. აქედან გამომდინარე სამართლებრივად გაუჭირდებათ ამ პროცესის წამოწყება, მაგრამ გამორიცხული არ არის.

ამას გარდა, ძალიან ბევრი რამე იქნება დაკავშირებული საგარეო ასპექტებზე. რამდენად აქტიურები და პრინციპულები იქნებიან აშშ და ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებით.

– ალბათ ოპოზიციის მოქმედებებზეც ბევრი რამე იქნება დამოკიდებული?

– კი, რა თქმა უნდა. ოპოზიციამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.

თქვენ ინტერვიუს დასაწყისში რაც მკითხეთ, რომ იყო თუ არა „ოცნებისთვის“ ყველაზე უარესი წელიო. შეიძლება ითქვას, რომ კი. იმიტომ, რომ რამდენიმე საკრებულოში დათმო პოზიციები, რაც გამორიცხული იყო წინა – 2016 წლის არჩევნებზე. გამოჩნდა, რომ მისი რეიტინგი დაკლებულია, თუმცა ის მაინც ინარჩუნებს ძალაუფლებას და ესეც ფაქტია.

საჯარო მოხელეებს ხელფასები 10%-ით ეზრდებათ, პენსია კი 260 ლარი გახდა

2022 წლიდან სახელმწიფო გასაცემლები ასაკობრივი პენსიის, შშმ პირთა პენსიისა და საჯარო მოხელეების ხელფასი იმატებს.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა მინისტრი, ლაშა ხუციშვილი ადასტურებს.

– ასაკით პენსიონერებისთვის პენსია მომავალი წლიდან იზრდება. 2022 წელს 2 მილიარდ 885 მილიონი ლარი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფას მოხმარდება.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა პარლამენტის სესიაზე, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვერსიის წარდგენისას აღნიშნა.

როგორც მან განაცხადა, მომავალ წელს, 70 წლამდე პენსიონერთა პენსიის ზრდა 20 ლარით არის გათვალისწინებული და, შესაბამისად, პირველი იანვრიდან მათი პენსია 260 ლარი იქნება.

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ასაკით პენსიონერები, რომლებსაც ე.წ. მაღალი მთის სტატუსი აქვთ, დამატებითი ფულადი დანამატით ისარგებლებენ.

– მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის, იქ არსებული დანამატის გათვალისწინებით, 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის პენსია 312 ლარი იქნება, ხოლო 70 წელს გადაცილებულებისთვის – 360 ლარი. 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 25 ლარით და შეადგენს 300 ლარს, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში ამავე კატეგორიის პირთა პენსია 360 ლარი იქნება, – განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

შშმ პირთა და 18 წლამდე შშმ ბავშვთა ყოველთვიური სოციალური ფულადი გასაცემელი იზრდება.

ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, რატი იონათამიშვილმა განაცხადა.

მისივე ცნობით, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და 18 წლამდე შშმ ბავშვთა ყოველთვიური სოციალური გასაცემელი 25 ლარით იზრდება:

– საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში შშმ პირთა მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა: მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და 18 წლამდე შშმ ბავშვთა ყოველთვიური სოციალური გასაცემელი 25 ლარით იზრდება; სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის პროგრამა 12 მილიონი ლარით იზრდება, რაც ამ პროგრამის ზრდის ისტორიული მაქსიმუმია და 52,1 მლნ ლარს შეადგენს.

ლაშა ხუციშვილის თქმით, 2022 წელს დაგეგმილია საჯარო მოხელეების ხელფასების 10%-იანი ზრდა.

– ერთი მხრივ, ფისკალური რესურსის სიმცირემ და მეორე მხრივ, საკითხის ზედმეტად პოლიტიზირებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ბოლო 5-6 წელია საჯარო მოხელეების ხელფასები არ გაზრდილა, შედეგად მივიღეთ შემდეგი სიტუაცია: 2013-2014 წლებში, საჯარო სექტორში საშუალო ხელფასი კერძო სექტორში არსებული საშუალო ხელფასის 90%-ზე მეტი იყო. 2014 წლის შემდგომ, კერძო სექტორში საშუალო ხელფასის ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო საჯარო სექტორში ხელფასების ზრდას.

შედეგად, 2020 წლის მდგომარეობით საჯარო სექტორში საშუალო ხელფასი კერძო სექტორის 80%-ზე დაბალია. თუ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საშუალო ხელფასის ზრდის დინამიკას გავაანალიზებთ, მოსალოდნელია, რომ 2021 წლის ბოლოს საჯარო სექტორში საშუალო ხელფასი კერძო სექტორში არსებულ 75 პროცენტზე დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდეს, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

„შევძლოთ ერთმანეთის მოსმენა!“

სალომე ზურაბიშვილის საახალწლო მილოცვა

„...უკიდეგანო შური და ბოღმა, სიძულვილი და დაპირისპირება, მოკლევადიანი გეგმები და კიდევ უფრო მოკლემჭვრეტელი ხედვა, სამაგიეროდ, გრძელვადიანი და უსაფუძვლო ამბიციები!

ამ დღეებში ჩემი მთელი ძალისხმევა და რასაც მომავალ წელსაც გავაგრძელებ (და სანამ ამ თანამდებობაზე ვიქნები, რამეთუ ამ თანამდებობაზე მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის ვარ) მიმართულია იმისკენ, რომ როგორმე ერთმანეთთან მისასვლელი გზა თუ გზები მოვნახოთ. მოვახერხოთ ის, რომ ერთმანეთის მოსმენითა და საუბრით და არა შუღლით მოვახერხოთ ამ ქვეყნის გადარჩენა. ჩემი ამოცანაც ესაა – ქვეყნის ხვალინდელი დღისთვის მოვნახოთ ეროვნული თანხმობის გზა.

არა როგორც ზოგ-ზოგიერთი ავრცელებს, რომ ვითომც ეს ერთი რომელიმე ადამიანის გათავისუფლებისთვის კეთდება – არა! არა იმისთვის, რომ ვიღაცისთვის და ვიღაცასთან შერიგება მოვახერხო – არა! ეს იმისთვის კეთდება, რომ ჩვენ შევძლოთ ერთმანეთის მოსმენა და ერთმანეთთან შევთანხმდეთ იმ რაღაცებზე, რაც ამ ქვეყანას ააშენებს, რაც ამ ქვეყანას არა თუ გადაარჩენს, მაგრამ მოგვცემს საშუალებას, რომ ხვალინდელ ანას და სხვებს არა თუ შევუსრულოთ სურვილები, არამედ მომავალ წელს და შემდეგ წლებში არასოდეს ვთქვათ: – რით გაგახაროთ? გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს!“

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საახალწლო მიმართვაში საუბრობს.

ფოტიგა: „ქართველ თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას ვუსურვებ“

ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა ტვიტერში წერს, რომ 2021 წელი საქართველოსთვის ძალიან რთული წელი იყო.

იგი ჩვენს ქვეყანას უსაფრთხოებას და კეთილდღეობას უსურვებს.

ფოტიგა ასევე წერს, რომ ქართველ თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას უსურვებს:

„2021 წელი საქართველოსთვის ძალიან რთული აღმოჩნდა. დამდეგ შობა-ახალ წელს საქართველოს გადაედგას დიდი ნაბიჯი ევროპისკენ და მოეტანოს მეტი ურთიერთგაგება, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. პრეზიდენტ სააკაშვილს ვუსურვებ ჯანმრთელობას და თავისუფლებას, ქართველ თანამდებობის პირებს კი მაღალი პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას საკუთარი მოქალაქეების მიმართ“ – წერს ფოტიგა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიცია ასე ვეღარ გააგრძელებს, ტაქტიკის ცვლილება მოუწევს“

სოსო ცინცაძე: „ზურაბიშვილი ვეტოს აუცილებლად გამოიყენებს. „ქართული ოცნება“ ვეტოს ღიად გამოცხადებულ ომად მიიჩნევს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პატონო სოსო, გასული წელი ყველა მიმართულებით გამოწვევების წელი იყო. რა პოლიტიკური პროცესები არის მოსალოდნელი 2022 წელს?

– ცვლილებები. შეუძლებელია ცვლილებები არ იყოს. ასე ნამდვილად ვეღარ გაგრძელდება. მთელი წელიწადი შეუძლებელია საკაშვილი ციხეში იყოს და ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმში. რაღაც ცვლილებები იქნება. შეიძლება ეს არ იყოს გლობალური ცვლილებები, მაგრამ ამ რეჟიმში სახელმწიფო ვეღარ გააგრძელებს ფუნქციონირებას. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რაღაც შეთანხმება იყოს მიღწეული.

ასევე შეუძლებელია ოპოზიციამ ამ რეჟიმში გააგრძელოს არსებობა. ამით, პირველ რიგში, ავნებენ საკუთარ თავს.

– რას გულისხმობთ?

– ამომრჩეველს დაკარგავენ. ალბათ უკვე სერიოზული დასკვნები გააკეთეს ამ წლების მანძილზე. თუ არ გააკეთეს, ძალიან ცუდი. აშკარაა, რომ ოპოზიციას ტაქტიკის ცვლილება მოუწევს. უნდა გადახედონ თავიანთი მოქმედების გეგმას და სერიოზული კორექტივები შეიტანონ. როდესაც შედეგი არ ჩანს, მაშინ უნდა შეცვალო მიდგომა, ეს, როგორც ორჯერ ორი ოთხია, მარტივი ჭეშმარიტებაა.

– ბევრი მათგანი გამარჯვებულად თვლის თავს.

– ეს არის შეცდომა. თუ არა საკუთარი თავის მოტყუება ან კიდევ უარესი, საკუთარი ამომრჩევლის მოტყუება.

– თქვენი აზრით, როგორი იქნება პრეზიდენტის პოლიტიკა 2022 წელს? შეიძლება უფრო მკვეთრი იყოს?

– 2022 წელს ვეტო აუცილებლად იქნება და ეს იქნება რუბიკონი პრეზიდენტ ზურაბიშვილისთვის. პრეზიდენტ მარგველაშვილის ურთიერთობა „ქართულ ოცნებასთან“ განსაკუთრებით პირველი ვეტოს ამოქმედების შემდეგ გამწვავდა. „ქართული ოცნება“ ვეტოს ღიად გამოცხადებულ ომად მიიჩნევს.

– რამდენად ელოდებით, რომ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა მიხეილ საკაშვილი შეიწყალოს?

– არა, ამას არ ველოდები. არა იმიტომ, რომ სალომე ზურაბიშვილმა უკვე თქვა, რომ არასდროს არ შეიწყალებს, არა, ჩემი ვარაუდით, მოვლენები ალბათ უფრო სხვა მიმართულებით განვითარდება.

10-12 იანვარს ამერიკა-რუსეთის შეხვედრა გაიმართება. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, მოგეხსენებათ, უკრაინის საკითხია. წინასწარ ვერავინ იტყვის, როგორი შედეგებით დასრულდება ეს მოლაპარაკებები, მაგრამ ალბათ ერთგვარი შეთანხმება მიღწეული იქნება. ამიტომ, უკრაინა ალბათ უფრო მოიცლის სააკაშვილისთვის. არ გამოვრიცხავ მოლაპარაკებები გაიმართოს ოფიციალურ უკრაინასა და ოფიციალურ თბილისს შორის და სააკაშვილი, როგორც უკრაინის მოქალაქე, გადასცენ. როგორც ჩანს, მართლაც რთულად დგას მისი ჯანმრთელობის საკითხი, ალბათ დასჭირდება ევროპაში მაღალი კვალიფიკაციის კლინიკაში მკურნალობა.

მე, პირადად შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე რეალური გამოსავალი, მაინც უკრაინისთვის გადაცემა მეჩვენება. ეს იქნებოდა გამოსავალი როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ისე, მეორე მხრივ, სააკაშვილისთვის, რომელმაც ფიზიკური ძალები უნდა აღიდგინოს. თან, ბოლოს და ბოლოს, საუბარია უკრაინაზე, რომელთანაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს, რომელთანაც მომავალშიც უნდა გავაგრძელოთ პარტნიორობა ნატოსა თუ ევროკავშირის მიმართულებით. ამაზეც უნდა იფიქროს „ქართულმა ოცნებამ“.

– თუმცა, სააკაშვილისთვის რამდენად იქნება ეს ვარიანტი მისაღები? როგორც გიული ალასანიამ თქვა, მას არ უნდა ამ შესაძლებლობის გაგონებაც კი.

– სააკაშვილმა ამ ჩამოსვლით მთელი ფსონი უკვე დადო და წააგო. მან უკვე გააკეთა ის, რაც მას შეეძლო. რაც მის შესაძლებლობებში იყო. დანარჩენი მასზე არ არის დამოკიდებული.

– წააგო?

– რასაკვირველია, წააგო. პირველ რიგში, ნებისმიერი ჩვენგანი ადამიანია. მან ახლა უნდა იფიქროს თავის ჯანმრთელობაზე. ჯანმრთელობა უნდა აღიდგინოს. როგორც ჩანს, მაინც არ აქვს ისეთი ჯანმრთელობა, რომ ნელსონ მანდელასავით 27 წელი ციხეში იჯდეს, შემდეგ გამოვიდეს და პრეზიდენტი გახდეს.

– თქვენ ცვლილებებზე საუბრობდით. თუმცა, ცვლილებებისთვის გაცნობიერებაა საჭირო. რამდენად ელოდებით, რომ „ქართული ოცნება“ და ოპოზიციური პარტიები ამას შეძლებენ?

– ყველაფერი ვცადეთ. ეს წელი ორივე მხარისთვის გაკვეთილების წელი უნდა იყოს. დიდი ექსპერიმენტები მოვაწყვეთ საკუთარ თავზე, საკუთარ ქვეყანაზე. ორივე მხარემ უნდა გააცნობიეროს, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. თუ ვერ გააცნობიერებენ, ეს ოთხი წელიც გაივლის და მერე უკვე ძალიან გვიან იქნება.

„ტიკარაძემ ვერ შეასრულა, რაც სააკაშვილთან დაკავშირებით შეუკვეთეს“

ვატო სურგულაძე: „ჯანდაცვის სისტემაში 50%-იც არ არის აცრილი!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– პატონო ვატო, ახალი ჯანდაცვის მინისტრი ჰყავს ქვეყანას. თავდაცვის სამინისტროდან გადაისროლეს კადრი. როგორია თქვენი შეფასებები? რატომ ძალოვანი უწყებიდან? რა ხდება?

– მე ადრეც გითხარით, რომ ჯანდაცვაში დაინიშნება ადამიანი, რომელიც თავიდან ბოლომდე იქნება ლოიალური და ყველაფრის გამკეთებელი.

– პირდაპირ ღარიბაშვილის კადრია?

– დიახ, პირდაპირ. ღარიბაშვილის და ბიძინა ივანიშვილის. „ქართუდან“ მოდის, „ქართუში“ მუშაობდა. არც ძალოვანი არ არის, ფინანსისტია. მთელი ცხოვრება მუშაობდა ბანკებში. სხვადასხვა ბანკებში, ძირითადად, რომელიც „ქართუ ჯგუფს“ ეკუთვნოდა. მერე იყო ე.წ. 31-ე ქარხნის, დელტას დირექტორი. იქაც დიდი ვერაფრით გამოიჩინა თავი. მერე გადავიდა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, როდესაც ამ უწყებას მართავდა ახლანდელი პრემიერ-მინისტრი. აქედან გამომდინარე, არავითარი სხვა გამოცდილება, დამსახურება მას არ აქვს. ჩაიბარა ამხელა სამინისტრო, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, შრომა, ეს არის ძალიან დიდი სამინისტრო, სადაც ცოდნა და გამოცდილება გჭირდება. სხვა სპეციფიკაა.

– თანაც არის ძალიან მაღალბიუჯეტიანი სამინისტრო.

– რა თქმა უნდა, 5 მილიარდზე მეტი ბიუჯეტია. იქ ყავდათ ერთი ფინანსისტი, გიორგი წოწკოლაური, რომელმაც იცოდა ეს სფერო. რათ უნდოდათ ორი ფინანსისტი ჯანდაცვის სამინისტროში?! თავიდანვე ვამბობდი, რომ ჩვენ არ გვკითხავენ, ვის დანიშნავენ, მაგრამ ვინც არ უნდა დანიშნონ, იქნება უერთგულესი ადამიანი, ყველა ბრძანების შემსრულებელი.

– ტიკარაძეც ხომ ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი იყო? რა მოხდა, არ გაამართლა?

– ვერ გაამართლა რა თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში სულ კონფლიქტები ჰქონდა პრემიერ-მინისტრთან, მაგრამ არ აპატიეს ის, რომ ვერაფრით ვერ შექმნა ექიმების ისეთი კომისია, რომელიც კოჭს გაუგორებდა აი ამ მთავრობას და პატიმარ სააკაშვილის უფლებებს არ დაიცავდა, ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებდა. ის რაც მოხდა ნინო გოგორიშვილთან დაკავშირებით. ტიკარაძემ ვერ უზრუნველყო ისეთი კონსილიუმის შექმნა და ეს იყო მიზეზი. რა მწვანე პასპორტები და კოვიდპასპორტები, რას მელაპარაკებით. აი ეს იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც დაუპირისპირდა პრემიერი და შემდეგ ტიკარაძე გადადგა.

– ლოიალური იყო სააკაშვილთან მიმართებაში?

– ლოიალური არა, უბრალოდ, ვერ შეასრულა ის დავალება, სააკაშვილთან დაკავშირებით რაც შეუკვეთეს.

– ტიკარაძემ გადადგომის შემდეგ განაცხადა, რომ კლინიკებში კოვიდპაციენტების მხოლოდ 1% იღუპებოდა ამ ვირუსით, დანარჩენები ჰოსპიტალური ინფექციითო. საკმაოდ სკანდალური განცხადება იყო. რა ხდება, რატომ გააკეთა ტიკარაძემ ეს განცხადება?

– ჰოსპიტალური ინფექცია, პრობლემაა მთელ მსოფლიოში. ეს არის მსოფლიო გამოწვევა. დიახ, მსგავსი ხდება. ამაზე აპელირება კი არასწორია. შენი ამოცანაა, რომ ავადმყოფი არ მოხვდეს საავადმყოფოში, ისე უნდა უმკურნალო კოვიდპაციენტს სახლისა თუ სასტუმროს პირობებში, რომ არ დაგიმძიმდეს. ჰოსპიტალური ინფექცია ადამიანს ემართება მაშინაც, როდესაც არ არის ეპიდემია. შეიძლება ადამიანმა გაიკეთოს უბრალო ოპერაცია და მასაც დაემართოს ჰოსპიტალური ინფექცია, რომელიც გამოიხატება ფილტვების ანთებით და სასქესო და საშარდე სისტემის დაინფიცირებით.

– რატომ გააკეთა ტიკარაძემ მსგავსი განცხადება?

– თავი გაიმართლა, ვითომ კლინიკებს გადააბრალა ყველაფერი. ვთქვათ, ასე იყო, ვეკითხები ტიკარაძეს, ახლა რომ აკეთებ განცხადებებს, შენ სად იყავი ეს ორი წელიწადი?! სად იყავი აქამდე?! კლინიკებს გადასწვდა. მე კარგად ვმუშაობდი და კლინიკების ბრალია, ამდენი ადამიანი რომ კვდებაო. ბოლო 6 თვეა სიკვდილიანობით ლიდერები ვართ. მე ყველაფერს კარგად ვაკეთებდი და ეს საზიზღარი კლინიკებიო.

„2022 წელს პანდემია არ დასრულდება“

– ანუ პასუხისმგებლობის აცილების მცდელობა იყო?

– დიახ, ზუსტად ეს იყო პასუხისმგებლობის აცილების მომენტი და მეტი არაფერი.

– ომიკრონი ჩვენს ქვეყანაშიც ნელ-ნელა ფეხს იკიდებს, როგორი პროგნოზები გაქვთ?

– აუცილებლად დომინანტური შტამი გახდება. ძირითადი შტამი იქნება. ზოგი ვირუსი უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვერ მოიკიდა ფეხი. როგორც დელტა შტამი იყო, ახლა ომიკრონი იქნება ძირითადი შტამი.

– და რამდენად საშიშია ისეთი ქვეყნისთვის, სადაც მოსახლეობის 40%-იც კი არ არის აცრილი?

– 40%-მდე კიდევ ბევრი გვიკლია. რა თქმა უნდა, საშიშია. იმდენად მკვლელი ვირუსი არ არის, მაგრამ ძალიან ადვილად გადადის ადამიანიდან ადამიანზე. ვინაიდან ნიღბის ტარებაც ვერ ვასწავლეთ ჩვენს მოქალაქეებს, აქედან გამომდინარე, სერიოზული პრობლემა გვექნება. გადაივსება კლინიკები. ახლაც ორი ჩვილი ბავშვი წევს ციციშვილის კლინიკაში, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში არიან.

– ომიკრონის შტამით?

– დიახ, ომიკრონის. სწორედ ბავშვებშია სახიფათო. ალფა და ბეტა შტამი, 18 წლამდე ბავშვებს პრაქტიკულად არ ემართებოდათ, მაგრამ განიცადა მუტაცია. ვერაგი რამეა ვირუსი. ვირუსი ერთადერთია დედამიწის ზურგზე, ვისაც შეუძლია ადამიანის ეგემონიაზე გავლენა იქონიოს. ვინ მოიგებს ამ ომში, ვირუსი თუ ადამიანი, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ეს მე არ მითქვამს, ეს თქვა გენეტიკოსმა, ბიოლოგმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ლედერბერგმა 40 წლის წინ. ვირუსია ერთადერთი, ვისაც შეუძლია ადამიანის მოდგმა დედამიწაზე დაამარცხოს. მხოლოდ ვირუსს შეუძლია ეს.

– ვაქცინაციის პროცესი კიდევ უფრო აფრთხობს მოსახლეობას, როდესაც აცხადებენ, რომ ბუსტერ დოზის შემდეგ შესაძლოა მეოთხე დოზაც გახდეს საჭიროო.

– გრიპის ვაქცინას ხომ ვიკეთებთ ყოველ წელს, რომ გრიპი არ დაგვემართოს?! ეს არის ვირუსი და ის არის ერთადერთი, რამაც შეიძლება მოსპოს ადამიანი! აი ეს რეალობა დადგა. ამასთანავე ვირუსი საკმაოდ ჭკვიანია, ორგანიზებულია, როგორც კი ხედავს, მედიკამენტებით და ვაქცინით ებრძვიან, იქვე ხდება მისი მუტაცია და სხვანაირ ფორმებს ღებულობს. ახლა ბავშვებს შეესია. ამიტომ ასეთი საუბარი არ შეიძლება, მეოთხე კი არა, 27-ე თუ იქნება საჭირო, ისიც უნდა გავიკეთოთ. ამის ასე აგდება არ შეიძლება. რა, ჩვენ ყველაზე ჭკვიანები ვართ მსოფლიოში?! ებრაელ ხალხზე ჭკვიანები ვართ? 80% აცრილია და ახლა მეოთხე წრეზე წავლენ.

– წლის ბოლომდე დასახულ მიზანს ვერ მივაღწიეთ, მოსახლეობის 60% აცრილი არ გვყავს. რა იქნება?

– 60%-იც რომ არ გვყოფნის?! არაფერიც არ იქნება, გვექნება ძალიან მძიმე ზამთარი.

– თქვენც გაქვთ იმის მოლოდინი, რომ 2022-ში დასრულდება ეს ვირუსი?

– არა, ნამდვილად არ მაქვს ამის მოლოდინი, რომ ეს დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში არ დამთავრდება. ვინც ეს განაცხადა, დასრულდებაო, ისიც თქვა, რომ დარჩება ენდემური კერებიო. მე არ მინდა, რომ საქართველო იყოს ენდემური კერა! ძალიან ცუდად მუშაობს ჯანდაცვის სამინისტრო, არასწორი საინფორმაციო პოლიტიკა აქვთ. იცით რამდენია აცრილი თავად ჯანდაცვის სამინისტროში? 50%-იც არ არის აცრილი! თავისი ხალხისთვის ვერ მოუვლიათ და სხვაზე რა რეკომენდაციები უნდა გასცენ! არც ახალი მინისტრისგან მაქვს დიდი მოლოდინი, მაგრამ ძალიან გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას!

„ევროკავშირი საქართველოში გილოცავთ ახალ წელს!“

კარლ ჰარცელის მილოცვა

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში მოსახლეობას ახალ წელს ულოცავს და წლის შემაჯამებელ ვიდეოს აქვეყნებს, რომელშიც სხვადასხვა პროექტებია გაერთიანებული. ასევე ის პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც 2021 წელს საქართველოში მიმდინარეობდა.

„რადგან 2021 წელი დასასრულს უახლოვდება, გვსურს შევაჯამოთ ბოლო 12 თვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. ევროკავშირი საქართველოში გილოცავთ ახალ წელს!“– წერს საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი.

მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი კლინიკაში გადაიყვანეს

საქართველოს საპატრიარქოს ცნობით, მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი გუშინ, 2 იანვარს, შეუძლოდ გახდა.

„მიტროპოლიტი სტეფანე შეუძლოდ იყო, მას გონება არ დაუკარგავს. ამასთან, ინფორმაცია, რომ მეუფეს თორმეტგოჯა ნაწლავი გაუსკდა, სინამდვილეს არ შეესაბამება და არც სამედიცინო სფეროს სპეციალისტები ადასტურებენ.

ამ ეტაპისთვის მიტროპოლიტი სტეფანე საავადმყოფოში მკურნალობს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ექიმების თქმით, იგი რამდენიმე დღეში დატოვებს საავადმყოფოს და სახლის პირობებში გააგრძელებს მკურნალობას“ – ნათქვამია საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებაში.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაცია ვერ შეჩერდება?

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ აპირებს თავისი გაფართოების გეგმები მოსკოვს შეუთანხმოს

მარიამ მჭედლიშვილი

ნატო არ აპირებს თავისი გეგმები, მათ შორის, ორგანიზაციის გაფართოების თაობაზე, მოსკოვს შეუთანხმოს. გაგრძელდება კანდიდატი ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების განხილვა. ასევე, ნატო თავად გადაწყვეტს საკუთარი საქმიანობის საკითხებს წევრი და მოკავშირე სახელმწიფოების ტერიტორიებზე – ასეთია დასავლეთის პოზიცია, რომელიც 2022 წლის დამდეგს გაჟღერდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე გამოაცხადა, რომ რუსეთის პოზიცია ამ საკითხებზე მკაფიოა და ის არ შეესაბამება აშშ-ის ინტერესებს.

მსოფლიო დაძაბული ელის დაანონსებულ შეხვედრებს რუსეთსა და დასავლეთს შორის. 10 იანვარს იგეგმება მოლაპარაკებები ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის, რასაც მოჰყვება შეხვედრები ნატო-რუსეთისა და ეუთო-რუსეთის დელეგაციების მონაწილეობით.

შეხვედრები დაინიშნა რთულ ფონზე. უკრაინის საზღვართან დიდი ხანია, დისლოცირებულია რუსეთის ჯარის ნაწილები და სამხედრო ტექნიკა. საერთაშორისო საზოგადოება არ გამორიცხავს რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიან ომს. დასავლეთის გაფრთხილებებს კრემლმა 17 დეკემბერს თავისი ულტიმატუმებით უპასუხა. კერძოდ, მოსკოვი ნატოსა და ვაშინგტონისგან მოითხოვს იურიდიულად გაფორმებულ „უსაფრთხოების გარანტიებს“.

ისინი შეიცავს ბევრ პრეტენზიას და საქართველოს უშუალოდ უკავშირდება. კრემლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეწყვეტა, ანუ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებების გაუქმება. ამ გადაწყვეტილებებით საქართველო და უკრაინა ნატოში მიიწვიეს.

დასავლელი ანალიტიკოსები დაძაბულობის შენელებას არ პროგნოზირებენ

რუსეთი ასევე მოითხოვს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აქტიურობის შეწყვეტას აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების განლაგებაზე უარის თქმას და სხვა.

ბაიდენ-პუტინის ბოლო საუბარს, მოსალოდნელი შეხვედრების წინ, უწოდეს შინაარსიანი და კონსტრუქციული. ამ საუბარმა დაადასტურა, რომ პოზიციებს არავინ თმობს. ჯო ბაიდენმა კიდევ ერთხელ უხსენა პუტინს ახალი მკაცრი სანქციები, რომლებიც რუსეთს დაუწესდება უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში. პუტინმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მოვლენების ასეთ განვითარებას მოჰყვება ვაშინგტონთან ყველანაირი ურთიერთობის გაწყვეტა.

დასავლელი ანალიტიკოსების დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ იანვარში დაგეგმილ შეხვედრებს არანაირი შედეგი არ მოჰყვება და კრემლი უკრაინაში ომს წამოიწყებს.

– პუტინი დაინტერესებულია არა დასავლეთთან კომპრომისით, არამედ, მისი კაპიტულაციით. კრემლი ამის შესახებ ღიად გვაფრთხილებს. ამ გაფრთხილებებს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ, – აცხადებს გერმანელი მიმომხილველი.

მისი თქმით, რუსეთის ოფიციალური პირები იმეორებენ, რომ ამ სიტუაციაში მოსკოვი არ დაიწყებს მრავალწლიან მოლაპარაკებებს ცივი ომის სტილში და უარს არ იტყვის თავის მოთხოვნაზე, მიიღოს წერილობითი „უსაფრთხოების გარანტიები“.

გერმანელი ანალიტიკოსის სიტყვებით, პუტინმა იცის, რომ შეუსრულებად მოთხოვნებს აყენებს. ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გაუქმება, ნატოს საქმიანობის შეზღუდვა თავის ტერიტორიაზე, მოსკოვისთვის ნატოს გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლების მიცემის ტოლფასია. რეალურად, ეს ნიშნავს ალიანსის დასასრულს.

ექსპერტის აზრით, კრემლს უნდა ისარგებლოს მომენტით. მოსკოვში ფიქრობენ, რომ დასავლეთი, განსაკუთრებით კი, ევროკავშირი, დასუსტებულია.

ამის მიზეზია კოვიდის პანდემია; მსხვილი ბიზნესი, რომლის ინტერესში არ შედის რუსეთთან და ჩინეთთან დაძაბულობა; შორსმჭვრეტელი ლიდერების ნაკლებობა; გერმანიის ხელისუფლება მხარს უჭერს „ჩრდილოეთი ნაკადი 2-“-ის გაზსადენის მუშაობას; საფრანგეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი კი ნატოდან გამოსვლისა და რუსეთისთვის სანქციების მოხსნის მომხრეა.

ავტორი მიიჩნევს, რომ ბაიდენმა შეცდომა დაუშვა, როცა პუტინთან მოლაპარაკებები დაგეგმა იმ დროს, როცა ხდებოდა რუსეთის ჯარის მასობრივი კონცენტრაცია უკრაინის საზღვართან. პუტინმა ეს მის სისუსტედ აღიქვა. მას შეექმნა განცდა, თითქოს უკრაინაზე ვაჭრობას სთავაზობენ და უკრაინა იცვლება რუსეთის ჩაურევლობაზე ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირებაში.

როგორც ჩანს, დაძაბულობა გაგრძელდება, მათ შორის, პოსტსაბჭოთა სივრცეში.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ დროს უკრაინის რადას ოპოზიციონერმა დეპუტატმა გაახმიანა ერთი წინადადება, რომელიც, დიდი ალბათობით, კრემლიდან მომდინარეობს. დეპუტატმა ილია კივამ რუსეთის ტელევიზიით გამოაცხადა, რომ კარგი იქნება რუსეთ-უკრაინის სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დასავლეთს დაუპირისპირდება.

არ არის გამორიცხული, ამგვარი იდეა საქართველოშიც გაჟღერდეს. თუმცა, ამის განხორციელება შეუძლებელი იქნება.

სააკაშვილის თხოვნით, ნაციონალებმა შიმშილობა შეწყვიტეს

2021 წლის 31 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა, გიორგი მშვენიერაძემ, ნაციონალური მოძრაობის ოფისთან მყოფი მოშიმშილეები მოინახულა და მათ მესამე პრეზიდენტის გზავნილი გააცნო.

მიხეილ სააკაშვილმა თხოვნით მიმართა მოშიმშილეებს, რომ იგი თავად მიმართავს შიმშილობას, თუკი ისინი არ შეწყვეტენ პროტესტის ამ უკიდურეს ფორმას.

როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ, აღნიშნა, ისინი მესამე პრეზიდენტის თხოვნას ითვალისწინებენ და შიმშილობას წყვეტენ, თუმცა, ამავე დროს, ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადიან.

– მიხეილ სააკაშვილი განიცდის თითოეული მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობას და თავადაც იძულებული გახდება, რომ მანაც განაახლოს შიმშილობა, რისი დაშვების უფლებაც არ გვაქვს არც ერთ ჩვენგანს, ვინაიდან, მიხეილ სააკაშვილის მიერ შიმშილობის დაწყება იქნება ფატალური შედეგის მომტანი და ამიტომ, თანამებრძოლებთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გადავიდეთ ბრძოლის შემდეგ ეტაპზე, რომელიც იქნება მრავალფეროვანი და არაძალადობრივი, მანამ, სანამ ქვეყანაში სამართლიანობა არ გაიმარჯვებს და არ დასრულდება პოლიტიკური მართლმსაჯულება. აქედან გამომდინარე, ჩვენ გადავდივართ ბრძოლის სხვა ეტაპზე, – თქვა ნიკა მელიამ.

ენმ-ის ოფისთან პარტიის ლიდერები, მხარდამჭერები და სამოქალაქო აქტივისტები 12 დღის განმავლობაში შიმშილობდნენ. პროტესტის ამ უკიდურესი ფორმის გამო, მათი ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა და ჰოსპიტალიზაცია დასჭირდათ.

რაც შეეხება ბრძოლის ახალ ეტაპს, პარტიის თავმჯდომარის თქმით, ის „არაძალადობრივი, მაგრამ მრავალფეროვანი იქნება“.

ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელი მდივნის, კობა ნაყოფიას, განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი არის ძალიან კარგ პოლიტიკურ ფორმაში, თუმცა, ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ის საკმაოდ სუსტადაა.

როგორც ნაყოფიამ რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ განაცხადა, სააკაშვილს სჭირდება კვალიფიციური მედიკოსების ზედამხედველობა და ის ნევროპათოლოგის დაკვირვების ქვეშ უნდა იყოს.

– ფიზიკურად სააკაშვილი არის ძალიან სუსტად. თვალის მოძრაობის პრობლემა აქვს. აშკარად კვალიფიციური ნევროპათოლოგის დაკვირვება არის საჭირო. მას კიდევ უფრო დაკლებული აქვს წონაში. ანუ იმაზე მეტად აქვს დაკლებული, ვიდრე შიმშილობის დროს. ესეც მეტყველებს მის ფიზიკურ მდგომარეობაზე. „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად ცდილობს, რომ დააზიანოს მისი ჯანმრთელობა. აუცილებელია, რომ ჩაერთოს კვალიფიციური მედპერსონალი. ამასთან მინდა ვთქვა, რომ ის ძალიან საღად აზროვნებს, არის ძალიან კარგ პოლიტიკურ ფორმაში, – განაცხადა კობა ნაყოფიამ.

„ვერ გავიგეთ, ვისი ქმარია მიშა – ბავშვი ანგელოზია, სოფო უნიჭიერესი, სანდრა ფასდაუდებელი“

სააკაშვილის პირადს ხალხი აფასებს

მიხეილ სააკაშვილი საზოგადოების გაოცებას აგრძელებს. ექსპრეზიდენტის დაპატიმრების შემდეგ მისი პირადი ცხოვრება არაერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში. ლიზა იასკოსთან აღიარებული სასიყვარულო ურთიერთობისა და ოჯახური თანაცხოვრების შემდეგ, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე, სააკაშვილმა მესამე შვილი გააცნო საზოგადოებას.

„ეს პირველი ახალი წელია, რომელსაც ციხეში ვხვდები, მაგრამ შევეცადე ოპტიმიზმი მაინც არ დამეკარგა და ამაშიც მეპოვნა სიკეთის მარცვალი. დიახ, სამაგიეროდ, წელს პირველი წელია, როდესაც ტელევიზორის ეკრანიდან, თავის დედიკოსთან ერთად, სცენიდან მოგვესალმება „მთავარი არხის“ საახალწლო კონცერტის ყველაზე პატარა მონაწილე, ელის მარია სააკაშვილი“ – დაწერა ფეისბუქში სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილისა და სოფო ნიჟარაძის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ წერდა მედია, როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტს იკავებდა. თუმცა მაშინ ნიჟარაძე ამ ურთიერთობას ჭორს უწოდებდა და ერთ-ერთ მედიას ამის დაწერისთვის სასამართლოშიც უჩივლა. მოგვიანებით მან სარჩელი უკან გამოიტანა.

ამბების ცნობით, სააკაშვილის პოსტს კომენტარებში უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. მათ შორის, ცნობილი სახეებიც.

ნანუკა ჟორჟოლიანი:

– კეთილი იყოს შენი მობრძანება ალისა ამ ძალიან მაგარ სამყაროში, მაგრამ ხანდახან ჭორიკნების ბუდეში, რომლებიც მზად არიან სხვისი ცხოვრება ისე დაკორტნონ, საკუთარი გადაავიწყდეთ. სოფო, ისეთ ფორმაში ხარ, ბრწყინავ.

ლელა კილაძე:

– გილოცავ მიშა, ყველაფერი კარგად იქნება. მამიკოს თავისუფლებას გისურვებ ალისა. სასწაული გოგოები ხართ, სოფია, მიყვარხართ.

მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოებს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. ექსპრეზიდენტს მესამე შვილს ულოცავდნენ, თუმცა, მათ შორის იყო სახუმარო კომენტარებიც.

„მიხეილ სააკაშვილი კი არა, მარიო ხარ, ჩიმარო.“

„მიშა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ და თუ სოფოსთან შვილი გყავდა, ის გოგო რაღად გინდოდა. ჯობია ისევ ამათ დაუბრუნდე, სანამ იმასთანაც შვილი გყოლია.“

„კარგია, რომ ჭორაობას ბოლო მოეღო. გილოცავთ ამ ლამაზ გოგონასაც და დამდეგსაც. მრავალს დაესწარით.“

„მრავალი კარგი და სასიამოვნო ახალი წელი მიშას, მის შვილებს და მათ დედიკოებს. სანდრაც და სოფოც არაჩვეულებრივი ადამიანები არიან და ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებენ, ისევე, როგორც მიშა.“

„მამა ჰყავთ გმირი. მსოფლიოში ცნობილი უნიჭიერესი პრეზიდენტი. თავისუფლება მიშას და მის შვილებთან ჩახუტება. მიყვარხარ სოფო, რომ გაუჩინე მიშას პრინცესა, უსაყვარლესი შვილი. ძალიან კი ჰგავს მამას. თავს გაუფრთხილდი, შენ გელოდება შვილები, ოჯახი და საქართველო, ქართველი ერი...“

„ლათინურ სერიალს ჰგავს...– თავგზა აგვირია ამ კაცმა, ბოლოს და ბოლოს, ვერ გავიგეთ, ვისი ქმარია ეს კაცი... – ბავშვი ანგელოზია, სოფო უნიჭიერესი და უსაყვარლესი. სანდრა არის და იქნება ფასდაუდებელი, ყველაზე ქალური სოლიდარობა სანდრას.“

„მე ვფიქრობ, რომ შენ არასოდეს იმსახურებდი სანდრა რულოვსს. ცუდია, რომ ეს წლები შენ მოგიძღვნა.“

„ადამიანებს უყვარხარ, შენ კი ჯერ უკრაინელი შეყვარებულით და მერე ბავშვით, საზოგადოებას გული დაწყვიტე.“

„მაგის ბედნიერებას მოგასწროთ ჩემო პრეზიდენტო. მიხარია, რომ საქვეყნოდ აღიარეთ პატარა პრინცესა.“

„სანდრა მისტირის, სოფო უმღერის, ლიზა ათენებს რუსთავის ციხესთან...– ასეთ პირად ცხოვრებას გისურვებთ 2022 წელს ჩემთვის საყვარელ ადამიანებს მხოლოდ, სხვებისთვის არ მემეტება.“

„ბოლოში მიშა და ბიძინა ბოროტი და კეთილი ძმები აღმოჩნდებიან და წულუკიანს გირჩი უყვარდება.“

ელის მარია სააკაშვილი სოფო ნიჟარაძეს 2020 წლის ივნისში ამერიკაში შეეძინა. სოფოს თან ახლდა დედა, რომელიც შვილის გაზრდაში ეხმარებოდა.

ელის მარია სააკაშვილთან ერთად მომღერალმა წელიწადზე მეტხანს იცხოვრა ამერიკაში, საქართველოში კი მიხეილ სააკაშვილის დაკავების შემდეგ დაბრუნდა.

ამირან გამყრელიძე: „ომიკრონის 144 შემთხვევიდან, ყველა მსუბუქია, მხოლოდ 4 იყო ჰოსპიტალიზებული“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, ომიკრონის 144 დადასტურებული შემთხვევიდან 4 ინფიცირებულის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

როგორც მან „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განმარტა, ოთხივე მათგანს თანმხლები დაავადება აქვს და ჰოსპიტალიზაცია კოვიდის სიმძიმით არ იყო გამოწვეული.

„ყველა შემთხვევა მსუბუქი გახლავთ, აქედან 12 არის 18 წლამდე ბავშვი და მოზარდი. მთლიანად 144-დან მხოლოდ 4 იყო ჰოსპიტალიზებული, ისიც სხვა თანმხლები დაავადების გამო, მათი ჰოსპიტალიზაცია არ იყო გამოწვეული კოვიდის სიმძიმით. საშუალო ასაკი 144 ადამიანში სადღაც 37-38 წელია. 144-დან 105 არის საქართველოს მოქალაქე, 39 უცხო ქვეყნის. მათგან 70% არის სრულად ვაქცინირებული“ – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

ამირან გამყრელიძის განცხადებით, ქვეყანაში ომიკრონის ცირკულაცია თანდათანობით იმატებს და დადასტურებულ შემთხვევებზე დაახლოებით სამჯერ მეტია.

„144 არის ლაბორატორიულად დადასტურებული იმ საეჭვო შემთხვევათა რაოდენობიდან, რომელიც ჩვენთან იგზავნება. თუ 10 დღის წინ გამოგზავნილ შემთხვევებში ორში ან სამში დასტურდებოდა „ომიკრონი“, ახლა 30 გამოვლენილი შემთხვევიდან ნახევარზე მეტში დასტურდება. ეს ნიშნავს, რომ „ომიკრონის“? ცირკულაცია ქვეყანაში თანდათანობით იმატებს. როდესაც ვსაუბრობთ 144 ლაბორატორიულად დადასტურებულ შემთხვევაზე, რეალურად შემთხვევები მეტია, რამეთუ რეალურად ხდება მხოლოდ PCR ნიმუშების კვლევა. სწრაფი ტესტით დადგენილ დადებით შემთხვევაში ლაბორატორიულად ეჭვს ვერ მივიტანთ. ამიტომ, ჩემი გადმოსახედიდან ცირკულაცია 144 შემთხვევაზე სამჯერ მეტია“ – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

ნინო ლომჯარია ამნისტიის კანონპროექტებს მხარს უჭერს

სახალხო დამცველი განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ სახალხო დამცველი „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტებს მხარდაჭერას უცხადებს.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, სახალხო დამცველი კოვიდ-პანდემიის დაწყებისთანავე აქტიურად მოუწოდებდა სახელმწიფოს, გამოეყენებინა ყველა შესაძლო მექანიზმი ციხის პოპულაციის განსატვირთად.

„საქართველოს პარლამენტში ამჟამად განიხილება მიხეილ სარჯველაძის მიერ ინიცირებული კანონპროექტი „ამნისტიის შესახებ“. „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტის ალტერნატიულ ვერსიას საქართველოს პარლამენტს ასევე წარუდგენს პარტია „ლელო“. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ინიციატივებს და იმედოვნებს, რომ პარლამენტი შემჭიდროვებულ ვადებში განიხილავს და დაამტკიცებს ამნისტიის კანონს, რომელიც კოვიდ-პანდემიის პერიოდში პენიტენციურ სისტემაში მყოფ მაქსიმალურად ბევრ პატიმარს მოიცავს და თანხვედრაში იქნება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებსა და დაზარალებულთა მიმართ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან.

სახალხო დამცველი კოვიდ-პანდემიის დაწყებისთანავე აქტიურად მოუწოდებდა სახელმწიფოს, გამოეყენებინა ყველა შესაძლო მექანიზმი ციხის პოპულაციის განსატვირთად. მიუხედავად იმისა, რომ რიგი საშეღავათო მექანიზმების გამოყენების მაჩვენებელი 2020 წელს გაიზარდა (მაგ. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკა), 2020 წელს შემცირდა პირობით ვადამდე გათავისუფლების მაჩვენებელი.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს კოვიდ-პანდემიის პირობებში პატიმართა უფლებების დამატებითი შეზღუდვის სიმძიმეს და აღნიშნული ამნისტიით მაქსიმალურად დააკომპენსირებს პატიმართა მდგომარეობას“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცნობისთვის, „ამნისტიის შესახებ“ პროექტის მიღების შედეგად, ყველა პირს, რომლებიც 2020 წლის 5 მარტიდან 2020 წლის 25 მაისამდე, ასევე 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში პატიმრობაში ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სტატუსით იმყოფებოდა და რომლებსაც „პატიმრობის კოდექსით“ გარანტირებული ხანმოკლე პაემნის უფლება შეეზღუდათ, პატიმრობაში ყოფნის ერთი დღე ჩაეთვლება სასჯელის მოხდაში შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობაში ყოფნის 4 დღე: სასჯელის მოხდის 5 დღე. ამასთან, ამნისტიის აქტი 2004 წლის 1 იანვრამდე ჩადენილ დანაშაულებზე ვრცელდება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან (გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა) თავისუფლდება პირი, რომელმაც 2004 წლის 1 იანვრამდე „სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა.

ამნისტია არ გავრცელდება განზრახ მკვლელობაზე (მუხლი 108), განზრახ მკვლელობაზე დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 109), არასრულწლოვნის წინააღმდეგ ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებზე (137-141, 253-255/2 მუხლები), წამებაზე (მუხლი 144/1), წამების მუქარაზე (მუხლი 144/2), დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაზე (მუხლი 144/3), ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებზე (323– ე-331/2 მუხლები), კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე (404-ე-413-ე მუხლები). ამასთან, კანონპროექტის მიღების შედეგად, პირები, რომლებმაც განსაზღვრული დანაშაული ჩაიდინეს, გათავისუფლდებიან როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელისაგან, ასევე პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადისაგან.

პროექტის მიხედვით, პირი, რომლის მიმართაც ამნისტია ვრცელდება, ასევე ჩაითვლება ნასამართლობის არმქონედ.

გახარიას თანაგუნდელ მალხაზ თორიას მამის საფლავზე 8 კაცმა სცემა

გახარიას პარტიის წევრს სცემეს.

„საქართველოსთვის“ პოლიტსაბჭოს წევრი კახა ქემოკლიძე სამეგრელოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ზუგდიდის საკრებულოს წევრის, მალხაზ თორიას ცემის ფაქტს საგანგებო ბრიფინგზე გამოეხმაურა.

ქემოკლიძის ინფორმაციით,, თავდასხმა 30 დეკემბერს, დაახლოებით 21:30 საათზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკში მოხდა.

მამის საფლავზე მიმავალ თორიას გზა ჩაუხერგა სამმა ავტომობილმა. მათ შორის ერთ-ერთი იყო თეთრი ფერის, ბმვ-ს მარკის, იქს 3 მოდელის ავტომანქანა, მეორე ავტომანქანა იყო მერსედესის მარკის, ლურჯი ფერის, ხოლო მე-3 ავტომანქანა შავი ფერის, თუმცა მისი მარკის გარჩევა დაზარალებულებმა ვერ შეძლეს.

სამივე ავტომანქანიდან გადმოვიდა დაახლოებით 8 ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც მიუახლოვდნენ მალხაზ თორიას და ფიზიკურად გაუსწორდნენ როგორც მას, ასევე მასთან ერთად მყოფ არასრულწლოვან შვილს. ასევე, დაუზიანეს ავტომანქანა, დაუჭრეს ავტომანქანის ოთხივე საბურავი და წაართვეს მობილური ტელეფონი, რომელიც მოგვიანებით ახლომდებარე ტერიტორიაზე იქნა ნაპოვნი.

მალხაზ თორია თავდამსხმელებს ეუბნებოდა, რომ რაღაც ეშლებოდათ, რაზეც თავდამსხმელები პასუხობდნენ, რომ არაფერი შეშლიათ და ზუსტად იქ იყვნენ, სადაც უნდა ყოფილიყვნენ. ძალადობის მომენტში მალხაზ თორიას პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ მეტს იმსახურებდა, რადგან არასწორი გზა აირჩია და მათ განუდგა.

თავდამსხმელები დღის განმავლობაში გადაადგილდებოდნენ სოფელ კოკში, უთვალთვალებდნენ მალხაზ თორიას სახლს და ეძებდნენ ხელსაყრელ მომენტს თავდასხმისთვის.

გახარიას პარტიაში აცხადებენ, რომ „დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული ხელისუფლება ყველანაირ ზღვარს გასცდა“.

შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით დაიწყო, 236-ე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარება, 151-ე – მუქარა და 187-ე – სხვისი ნივთის დაზიანება.

ბექა ვარდოსანიძე დააკავეს და გამოუშვეს



ანტიდასავლურ და რადიკალურ ორგანიზაცია „ალტ-ინფოსთან“ დაახლოებული პირი, ბექა ვარდოსანიძე დააკავეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ზვიად ტომარაძემ გაავრცელა. ინფორმაცია დაადასტურა მისმა ადვოკატმა თემურ ლომიძემაც, რომელიც დაკავების მომენტში ვარდოსანიძეს თან ახლდა.

– პოლიციის სამმართველოში მოვედით ბექასთან ერთად და შემდეგ ბექა დააკავეს. როგორც ირკვევა, არა იმის გამო, რომ პირველი არხის ჟურნალისტმა შეიტანა სრულიად უსაფუძვლო საჩივარი, არამედ იმის გამო, რომ დაურეკავს პოლიციის თანამშრომელს ბექასთვის და ბექას მიუყენებია სიტყვიერი შეურაცხყოფა და ადმინისტრაციული წესით დააკავეს, – განაცხადა ზვიად ტომარაძემ.

ბექა ვარდოსანიძის ადვოკატი თემურ ლომიძე ამბობს, რომ სამმართველოში დაბარების მიზეზი საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის მიერ შეტანილი საჩივარი ეგონა.

– რომ შევედით, მოგვიწია ცოტა ხნით ლოდინი. არ მოველოდით, რომ ასე განვითარდებოდა სიტუაცია. ჩვენ გვეგონა, რომ იქ ვიყავით მისული ჟურნალისტის განცხადების შეტანის საფუძველზე, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, როგორც პოლიციის უფროსმა განმიმარტა, მოხდა ბექას დაკავება პოლიციელისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, – აღნიშნა ადვოკატმა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ქეთი თუთბერიძე, ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლისა და კიბერბულინგის გამო, ბექა ვარდოსანიძეს შსს-ში უჩივის. თუმცა, როგორც ვარდოსანიძის ახლობლებმა აღნიშნეს, დაკავება სხვა მიზეზით მოხდა.

2 იანვარს ბექა ვარდოსანიძე გაათავისუფლეს.

შესაბამისი გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მიიღო.

საბოლოო გადაწყვეტილებას მოსამართლე 11 იანვარს გამოაცხადებს.

სანზონაში მამაკაცს გაზი ჩართული დარჩა

სანზონაში, საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი გაჩნდა. ადგილზე მისულ მეხანძრე-მაშველებს მარტო მყოფი მამაკაცის ბინაში ჩართული გაზქურა დახვდათ.

მეზობლების თქმით, სადილის გასაცხელებლად გაზის ანთების შემდეგ, მამაკაცმა დაიძინა. შედეგად, სადარბაზოში კვამლი და შესაბამისი სუნი გავრცელდა.

მეხანძრე-მაშველები შენობაში აივნიდან შევიდნენ. უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, კორპუსში გათიშული იყო ელექტროენერგიაც.

ინციდენტის ამოწურვა მალე მოხერხდა, რის შემდეგაც მეხანძრე მაშველებმა ტერიტორია დატოვეს.

გორში მამაკაცმა 2 ბინაში ხანძარი გააჩინა

გორში, კომბინატის დასახლებაში სახანძრო და სასწრაფო ბრიგადები იყვნენ მობილიზებულები, მიზეზი ორ საცხოვრებელ ბინაში გაჩენილი ხანძარი იყო.

ირკვევა, რომ ცეცხლი შუახნის კაცმა გააჩინა. შემთხვევა 1 იანვარს, გვიან ღამით, მოხდა.

ხანძრის შედეგად მამაკაცი თავადვე დაშავდა. ის კლინიკაშია გადაყვანილი. არსებული ინფორმაციით, შუახნის კაცი ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო.

ახალ წელს საქართველოში კვებითი მოწამვლის 41 შემთხვევა დაფიქსირდა

საქართველოს მასშტაბით, ახალი წლის დღეებში, კვებითი ინტოქსიკაციის 41 შემთხვევა დაფიქსირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში განუცხადეს, თბილისში 12 შემთხვევა დაფიქსირდა და ჰოსპიტალიზებულია 3 პაციენტი.

მათი განმარტებით, რეგიონებში კვებითი ინტოქსიკაციის 29 შემთხვევა დაფიქსირდა და ჰოსპიტალიზებულია 12 ადამიანი.

რაც შეეხება ალკოჰოლით ინტოქსიკაციის ფაქტს, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში აღნიშნავენ, რომ ასეთი 231 შემთხვევა გამოვლინდა, რომელთაგან 97 თბილისში დაფიქსირდა და ჰოსპიტალიზებულია 20 პაციენტი.

მათივე მონაცემებით, რეგიონებში დაფიქსირებულია 134 ასეთი შემთხვევა, ხოლო ჰოსპიტალიზებულია 40 პაციენტი.

პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა

პარლამენტმა მესამე, საბოლოო მოსმენით 81 ხმით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები მიიღო. ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

ცვლილებებით წესრიგდება რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხი, ასევე დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის სტრუქტურის, საშტატო ნუსხასა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე მოსამართლის მიმართ გადაწყვეტილებების მიღების კვორუმთან და მოსამართლის მიმართ გამოსაყენებელ დისციპლინურ სახდელებთან დაკავშირებული საკითხები.

კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა, გურამ მაჭარაშვილმა მადლობა გადაუხადა განხილვაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს – საპარლამენტო უმრავლესობას, ოპოზიციას და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

– ის, რომ თქვენი შენიშვნების რაღაც ნაწილი გავითვალისწინეთ, არის დემოკრატიისა და რეფორმების შემადგენელი ნაწილი, – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას.

მუხიანში სახლი დაიწვა, რუსთავში 10 ადამიანი დაშავდა

რა ზიანი მოიტანა პიროტექნიკამ

რა ზიანი მოიტანა პიროტექნიკის გამოყენებამ ახალი წლის ღამეს? ინფორმაციასა და ფოტომასალას სხვადასხვა ინციდენტების შესახებ, ფეისბუქ გვერდი „ჩემი ქალაქი მკლავს“ ავრცელებს

როგორც ირკვევა, მუხიანში დაიწვა სახლი.

„ინფო რუსთავზე“ დაყრდნობით ვიგებთ, რომ 10-ზე მეტი ადამიანი დაშავდა, მათ შორის არიან არასრულწლოვნებიც. კლინიკა „რუსთავის“ ექიმების ინფორმაციით, რამდენიმე პაციენტმა თითი დაკარგა.

გორში პიროტექნიკის შედეგად სახლი დაიწვა.

ახალი წლის ღამეს ბახტრიონის ქუჩაზე პიროტექნიკის გამოყენების შედეგად რამდენიმე საათი ელექტროენერგია გაითიშა.

სულ საქართველოში ახალი წლის ღამეს პიროტექნიკის გამოყენების შედეგად 27 ადამიანი დაშავდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში განუცხადეს.

ცენტრისვე ინფორმაციით, თბილისში 8 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ერთი არასრულწლოვანია.

სხეულის სხვადასხვა მიდამოს დაზიანებებით 6 პირია ჰოსპიტალიზებული.

რაც შეეხება რეგიონებს, პიროტექნიკით დაზიანების 19 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო კლინიკაში 13 ადამიანია გადაყვანილი.

ბათუმში სასტუმრო პილტონში ევაკუაცია გამოცხადდა

ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“, 1 იანვარს ევაკუაცია გამოცხადდა.

სასტუმროს თანამშრომლებმა სტუმრებს მოუწოდეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ შენობა და მიმდებარე ტერიტორია.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, სასტუმროს ნომერში სტუმარმა საახალწლო ასაფეთქებელი აანთო, რის გამოც სიგნალიზაცია ჩაირთო.

სტუმრებმა შენობაში დაბრუნება მალე შეძლეს.

საბერძნეთში 41 წლის ქართველი მამაკაცი მოკლეს

ბერძნული მედიის ინფორმაციით, საბერძნეთში, ათენის გარეუბანში 41 წლის ქართველი მამაკაცი მოკლეს.

შემთხვევა 1 იანვარს საღამოს მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, 41 წლის მამაკაცი ცოლთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად შინ ბრუნდებოდა, როდესაც უცნობმა მისი მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა.

მამაკაცი ადგილზევე გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილი პოლიციამ მალევე გადაკეტა. ადგილზე მობილიზებული იყო უშიშროების სამსახურიც.

ჯერჯერობით, დამნაშავე იდენტიფიცირებული არ არის.

საფრანგეთი 6 თვით ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ხდება

2022 წლის პირველი იანვრიდან ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე საფრანგეთი გახდა.

საფრანგეთმა თავმჯდომარეობა როტაციის პრინციპით 6 თვით სლოვენიისგან გადაიბარა.

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანულ მაკრონი აცხადებს, რომ ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობა საფრანგეთისთვის დიდი პატივია და ერთიანობის მისაღწევად საფრანგეთი ყველაფერს გააკეთებს.

– ერთი წინადადებით რომ მომიწიოს ევროკავშირის პრეზიდენტობის მიზნების მიმოხილვა, რომელიც გაგრძელდება 1 იანვრიდან 30 ივნისამდე, მე ვიტყოდი, რომ ჩვენ ევროპული თანამშრომლობიდან ძლიერ ევროპამდე უნდა გადავიდეთ, რომელიც იქნება თავისუფალი, დამოუკიდებელი და საკუთარ ბედს თავად გადაწყვეტს, – განაცხადა მაკრონმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად, ის მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მომდევნო წელი უკეთესი იქნება.

ამასთან, მაკრონმა საფრანგეთის იმ 5 მილიონზე მეტ ადამიანს, რომელსაც ვაქცინა არ გაუკეთებია, აცრისკენ მოუწოდა.

– 1 იანვრიდან საფრანგეთი ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე გახდა. ჩვენ ეს მომენტი პროგრესისთვის უნდა გამოვიყენოთ, 2022 წელი ევროპის შემობრუნების წელი უნდა იყოს, – განაცხადა მაკრონმა.

ომიკრონმა ისრაელში ჯოგურ იმუნიტეტს შეიძლება შეუწყოს ხელი

ისრაელში ომიკრონის შემთხვევების მატებამ ქვეყანაში ჯოგური იმუნიტეტის გამომუშავებას შეიძლება შეუწყოს ხელი.

ჯანდაცვის სამინისტროს გენერალური დირექტორის, ნახმან ეშის, თქმით, დეკემბრის ბოლომდე ისრაელმა შეძლო ომიკრონის შემთხვევების შეკავება, თუმცა ინფიცირებულთა რაოდენობა იზრდება და, სავარაუდოდ, ერთიდან სამი კვირის ვადაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწევს.

– ციფრები მაღალი უნდა იყოს იმისთვის, რომ ჯოგური იმუნიტეტი გამომუშავდეს. ეს შესაძლებელია, თუმცა ჩვენ არ გვინდა ჯოგური იმუნიტეტის მიღწევა ინფიცირების ხარჯზე, არამედ გვინდა, რომ ეს მოხდეს ვაქცინირებულთა რაოდენობის მატებით, – აღნიშნა ნახმან ეშიმ.

მისი თქმით, ისრაელის 9.4 მილიონი მოქალაქიდან 60%, სულ მცირე, ორი დოზით სრულიად აცრილია.

ისრაელში მე-2 ბუსტერ დოზის მიღება შესაძლებელი გახდა. ამ ეტაპზე მეორე ბუსტერ დოზის მიღებას ის პირები შეძლებენ, რომელთა ასაკიც 60 წელს აღემატება ან რომელთაც სუსტი იმუნიტეტი აქვთ.

ისრაელში სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ნაწილმა მეორე ბუსტერ დოზა უკვე გაიკეთა, რისი საბოლოო შედეგებიც მალე გახდება ცნობილი.

მე-3 და მე-4 დოზებს შორის შუალედი მინიმუმ 4 თვე უნდა იყოს. ამასთან, 5-დან 3 თვემდე მცირდება შუალედი მე-2 და მე-3 დოზებს შორისაც.

11 და 18 იანვარს დედამიწას 2 საშიში ასტეროიდი ჩაუვლის

ორი პოტენციურად საშიში ასტეროიდი დედამიწისკენ მოფრინავს. საშიშებად მათ იმის გამო მოიხსენიებენ, რომ ისინი დედამიწასთან საკმაოდ ახლო მანძილზე ჩაივლიან.

პირველი ასტეროიდი ბიგ ბენის ზომისაა და ის დედამიწასთან 11 იანვარს გაივლის. მეორე ასტეროიდი კი დედამიწასთან 18 იანვარს გაივლის. აღსანიშნავია, რომ ის სიდიდით ორჯერ აღემატება ემპაიერ სთეით ბილდინგს.

დედამიწასთან ჩავლის დროს ეს ასტეროიდი ჩვენი პლანეტიდან 0.013 ასტრონომიული ერთეულის მანძილზე იქნება, რაც ყველაზე ახლო მანძილად ითვლება.

იანვრის განმავლობაში დედამიწას კიდევ 3 სხვადასხვა ასტეროიდი ჩაუვლის, თუმცა ისინი ბევრად პატარა ზომის არიან.

ტაივანის პრეზიდენტმა ჩინეთის ხელმძღვანელობას მიმართა

ტაივანის პრეზიდენტმა ცაი ინვენმა ჩინეთის ხელმძღვანელობას მიმართა და სამხედრო ავანტიურებისგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდა.

– სამხედრო ავანტიურებს მხოლოდ ახალი ომისაკენ მივყავართ, – განაცხადა ცაი ინვენმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ძიუდოს ფედერაციამ 2021 წელი შეაჯამა

2021 წელი შეაჯამა საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ, რომელიც მისთვის სარეკორდო გამოდგა:

4 მედალი (1 ოქრო, 3 ვერცხლი): რეკორდი ოლიმპიადაზე;

4 მედალი (1-1 ოქრო-ვერცხლი, 3 ბრინჯაო): რეკორდი მსოფლიოს ჩემპიონატზე;

4 მედალი (4 ოქრო, 1 ბრინჯაო): რეკორდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის;

8 მედალი (2 ოქრო, 3-3 ვერცხლი-ბრინჯაო): რეკორდი ევროპის ჩემპიონატზე 23-წლამდელთა შორის;

ქალთა შორის 11 მედალი (5 ოქრო, 3-3 ვერცხლი-ბრინჯაო).

ისტორიაში პირველად საქართველო გახდა ევროპის ჩემპიონი შერეულ გუნდურ ტურნირში უფროსებში და ასევე პირველად იმავე ტურნირზე 23 წლამდელებშიც გაიმარჯვა.

ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (73) და მსოფლიოს მე-3 პრიზორი ილია სულამანიძე (100) ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის რჩეულებიც გახდნენ: შავდათუაშვილმა გაიმარჯვა „წლის საუკეთესო ვაჟი ძიუდოისტის“ ნომინაციაში, სულამანიძე კი, წლის „საუკეთესო ახალგაზრდა“ გახდა.

შავდათუაშვილს სხვა მხრივაც გამორჩეული სეზონი ჰქონდა: მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებით გახდა პირველი ქართველი ძიუდოისტი, ვინც სამივე პირველხარისხოვანი ტურნირი მოიგო: ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, ოლიმპიადა; ამასთანავე, 2021 წელსვე ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი აიღო და სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელი პირველი ქართველი ძიუდოისტი გახდა; მეორე – მთლიანად ქართული ოლიმპიზმის ისტორიაში, რითიც ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძის მიღწევა გაიმეორა.

შავდათუაშვილი (73), 2021 წლის ბოლოს ძიუდოს საერთაშორისო რეიტინგის ლიდერია, ისევე, როგორც ტატო გრიგალაშვილი (81) საკუთარ წონაში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა ლაშა ბექაური (ძალოსან ლაშა ტალახაძესთან ერთად), წლის საუკეთესო მწვრთნელად – ლაშა გუჯეჯიანი, საუკეთესო ქალ სპორტსმენად – ეთერ ლიპარტელიანი, ხოლო წლის საუკეთესო გუნდად – ძიუდოს ეროვნული ნაკრები.

წელს იქნა მიღებული პრინციპული გადაწყვეტილება – დავტოვეთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიური კომიტეტში აღმასკომის წევრის სტატუსი და არ ვიღებთ მონაწილეობას ოლიმპიური კომიტეტის სამართლებრივ საქმიანობაში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

ლეოპარდი ძაღლს თავს დაესხა და ეზოდან გაიტაცა

ლეოპარდმა შინაური ძაღლი გაიტაცა და მასთან ერთად ღობეზე გადახტა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ინდოეთის სატყეო მეურნეობის ოფიცერმა პარვინ კასვანმა ტვიტერში გამოაქვეყნა.

სათვალთვალო კამერის მიერ გაკეთებულ ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ დგას ძაღლი საკუთარი სახლის დაკეტილ ჭიშკართან. მოულოდნელად, რაღაცით შეშინებული, ადგილიდან მოწყდა და გაიქცა.

რამდენიმე წამში ჭიშკარზე გადმოხტება ლეოპარდი და კადრს მიღმა თავს ესხმის ძაღლს. ამის შემდეგ მტაცებელი, ძაღლს კბილებით ჩაფრენილი, ღობეზე გადახტება და უჩინარდება.

– ერთი ამ ლეოპარდს შეხედეთ. მის წინაშე სხვა ცხოველებს შანსი არ აქვთ, – დაწერა კასვანმა.

ქალმა შეცდომით სხვა ღილაკს დააჭირა და გამდიდრდა

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ჰეიგერსთაუნის მკვიდრმა ლატარიის ბილეთების ავტომატით სარგებლობის დროს შემთხვევით სხვა ღილაკს დააჭირა თითი და ჯეკპოტი მოხსნა.

43 წლის ქალი ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში შევიდა და გადაწყვიტა, ავტომატში მომენტალური ლატარიის ბილეთი შეეძინა. მან შეცდომით 20-დოლარიანის ნაცვლად, რომლის ყიდვასაც თავდაპირველად აპირებდა, 5-დოლარიანი ბილეთის ღილაკს დააჭირა თითი.

– როდესაც ბილეთი გამოვიდა, გავიფიქრე: „ეშმაკმა დალახვროს“. ჩვეულებრივ, ასეთი თამაშები არ მიყვარს, მაგრამ ამჯერად ყველაფერი კარგად გამოვიდა, – აღნიშნა ქალმა.

სახლში მისულმა ქალმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და სმარტფონის სპეციალური დანართით შეამოწმა. მან დაინახა შეტყობინება: „გილოცავთ! თქვენ 50 ათასი დოლარი მოიგეთ“.

– ეს დაუჯერებელი იყო. ვიფიქრე, რომ რაღაც შეცდომას ჰქონდა ადგილი და ბილეთი ისევ გადავამოწმე, – აღნიშნა ქალმა, რომელმაც სასიხარულო ახალი ამბავი მაშინვე შვილებს შეატყობინა.

მოგებული თანხის ნაწილით ქალი არც ისე დიდი ხნის წინ ნაყიდი სახლის შეკეთებას აპირებს, დანარჩენ თანხას კი ბანკში საკუთარ ანგარიშზე შეინახავს.

ძმები 30 წელი ერთმანეთს შობის დღესასწაულზე ერთსა და იმავე საჩუქარს ჩუქნიდნენ

ამერიკის ნიუ-ჰემპშირის შტატის მცხოვრები ძმები, უკვე 30 წელზე მეტია, ერთმანეთს შობის დღესასწაულზე ერთსა და იმავე საჩუქარს ჩუქნიან.

უჩვეულო ტრადიციას საფუძველი 1987 წელს ჩაეყარა, როდესაც რაიან უოსონმა ხუმრობით თავის ძმა ერიკს საშობაო სტილში გაფორმებული კანფეტების კოლოფი აჩუქა, იცოდა რა, რომ მას ეს არ მოეწონებოდა. ერიკმა საჩუქარი შეინახა და მეორე შობის დღესასწაულზე რაიანს აჩუქა. რა თქმა უნდა, რაიანმა თავის ნაჩუქარი კოლოფი იცნო და ამის შემდეგ ძმები მას ყოველ წელს ჩუქნიან ერთმანეთს, სპეციალური ჟურნალიც კი შემოიღეს, რომელშიც რიგრიგობით აღნიშნავენ ბოლო საჩუქრის მიღების თარიღს.

გარდა ამისა, ძმები საჩუქრის გადაცემის განსაკუთრებით უჩვეულო ხერხებსაც იგონებენ. მაგალითად, კოლოფს ყინულის ნაჭერში ყინავდნენ, ჟელეში დებდნენ, ფუმფულა სათამაშოში ტენიდნენ.

ბიჭმა, რომელიც დღეში 40 ღერ სიგარეტს ეწეოდა, მავნე ჩვევას თავი დაანება

ინდონეზიის კუნძულ სუმატრას მკვიდრმა არდი რიზალმა, რომელიც დღეში 40 ღერ სიგარეტს ეწეოდა, მოწევას თავი დაანება და საოცრად შეიცვალა.

პირველი სიგარეტი, მამის მიერ მიწოდებული, რიზალმა წლინახევრის ასაკში მოსწია. ბიჭი სწრაფად შეეჩვია თამბაქოს და ორი წლისა უკვე დღეში 40 ღერ სიგარეტზე ნაკლებს არ ეწეოდა. მას მალე განუვითარდა თამბაქოზე დამოკიდებულება და, როდესაც მოწევის შესაძლებლობა არ ჰქონდა, თავს კედელს ურტყამდა.

იმისთვის, რომ შვილს მოწევაზე დამოკიდებულება დაეძლია, დედამ ის ექიმთან მიიყვანა. შედეგად ბიჭმა მოწევას თავი დაანება, მაგრამ ერთი დამოკიდებულება მეორემ – ჭამაზე დამოკიდებულებამ ჩაანაცვლა. რიზალის მშობელმა გადაწყვიტა, არ დანებებულიყო და დახმარებისთვის დიეტოლოგს მიმართა, რომელმაც ბიჭს კვების ინდივიდუალური პროგრამა შეუდგინა. ჯანსაღი საკვები ინდონეზიელს დაეხმარა ზედმეტი კილოგრამების მოშორებასა და კარგ ფიზიკურ ფორმაში ჩადგომაში. ამჟამად რიზალი 13 წლისაა, არ ეწევა და ყოველდღე ახალ თევზს, ბოსტნეულსა და ხილს მიირთმევს.

სისხლისმსმელმა ციყვმა 18 ადამიანი დაკბინა

სისხლისმსმელმა ციყვმა უელსის ფლინტშირის საგრაფოს ქალაქ ბაკლის მცხოვრებლები დაატერორა. მან ორ დღეში 18 ადამიანი დაკბინა და ბოლოს მისი დაჭერა მოახერხეს.

ქალაქის ათეულობით მცხოვრები დარჩა ხელებზე იარებით მას შემდეგ, რაც ისინი ერთმა და იმავე ნაცრისფერმა ციყვმა დაკბინა და დაკაწრა. ციყვს სახელად „სტრაიპი“ შეარქვეს ფილმ „გრემლინების“ ბოროტი პერსონაჟის პატივსაცემად. გააფთრებული ცხოველი ყველას ერთიმეორის მიყოლებით თავს ესხმოდა, მათ შორის პენსიონერებს, ბავშვებს და შინაურ ცხოველებსაც.

ციყვის მიერ მოსახლეობის დატერორებას წერტილი მას შემდეგ დაესვა, რაც ის ჰუმანური ხაფანგით 65 წლის კორინ რეინოლდსმა დაიჭირა და ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებას გადასცა.

თავის მხრივ, ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებაში განაცხადეს, რომ ისინი იძულებული იყვნენ, ნაცრისფერი ციყვი დაეძინებინათ, ვინაიდან, 2019 წელს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, ამ სახეობის ციყვის ველურ ბუნებაში დაბრუნება იკრძალება. ნაცრისფერი ციყვი ენდემურ სახეობას არ წარმოადგენს და ის დიდ ბრიტანეთში 1876 წელს ჩრდილოეთ ამერიკიდან შეიყვანეს.

ქალი 38 წელი მანქანას მართვის მოწმობის გარეშე მართავდა

ინგლისის უილტშირის საგრაფოს საგზაო პოლიციამ საბუთების გეგმური შემოწმების დროს გააჩერა მანქანა, რომელსაც 55 წლის ქალი მართავდა. პოლიციელები გაოგნდნენ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ ქალი 38 წელი მანქანას მართვის მოწმობის გარეშე მართავდა.

ქალი სამართალდამცავების ხელში იმ დროს აღმოჩნდა, როდესაც ქალაქ მელკშემის მახლობლად, ა350 გზატკეცილზე გადაადგილდებოდა. ის ინსპექტორებმა საბუთების შესამოწმებლად გააჩერეს. პოლიციელებმა აღმოაჩინეს, რომ ქალი მანქანას 1983 წლიდან მართვის მოწმობის გარეშე მართავდა. მთელი ამ წლების განმავლობაში მას პირველად მოსთხოვეს საბუთები.

ქალმა აღიარა, რომ ავტომობილის მართვა ჯერ კიდევ სკოლაში ისწავლა, „როდესაც მარგარეტ ტეტჩერი იყო პრემიერ-მინისტრი“, მაგრამ მართვის მოწმობის მისაღებად გამოცდა არასოდეს ჩაუბარებია. ამის შემდეგ ქალს საკუთარი მანქანის გარეშე მოუწია სახლში დაბრუნება, ხოლო მისი ვერცხლისფერი სიტროენი ევაკუატორით იქნა გადაყვანილი.

დიდ ბრიტანეთში მანქანის მართვა მართვის მოწმობის გარეშე ისჯება საჯარიმო ქულებით, ჯარიმით ან ექვს თვემდე პატიმრობითაც კი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

კახა ცხადაძე: „საქმის აზარტში ვართ“

თბილისის დინამოს მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ გასული სეზონი შეაჯამა, სადაც გუნდის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

კახა ცხადაძე:

– მე-2 ადგილი, შესაძლოა, სხვა გუნდებისთვის ძალიან დიდი მიღწევა და წარმატებული შედეგი იყოს, მაგრამ ჩვენთვის ყოველთვის ჩაითვლება წარუმატებლობად. ისევე, როგორც ბოლო რამდენიმე წელია, ევროთასებზე ჩვენი ასპარეზობა...

კიდევ ერთხელ ვამბობ – ძალიან უარყოფითი წელი გამოდგა. ამიტომ, საჭიროა ყველაფრის გაანალიზება და სამომავლოდ შეცდომების გამოსწორება. აი, ეს არის ახლა ყველაზე მთავარი. პირველ რიგში, კომპლექტაცია უნდა დაიწყოს, შემდეგ – მოსამზადებელი პერიოდი, მერე უკვე ძალების სწორი გადანაწილება, რადგან წინ ძალიან გრძელი სეზონია. ეს მოქმედებები უკვე დაწყებულია...

რამ მომცა იმის მოტივაცია, რომ გამეგრძელებინა კონტრაქტი? პირველ რიგში, ეს არის აზარტი და მოთხოვნილება საკუთარი თავის მიმართ. მე-2 – კლუბის პრეზიდენტის პირადი დამოკიდებულება ჩემს მიმართ. აქედან გამომდინარე, არ მინდა გავაწბილო და უნდა გავაკეთო ის, რაც ჩემი გასაკეთებელია. მე-3 და მთავარი: ძალიან ბევრი ფეხბურთელი დავინახეთ პერსპექტივაში, ვისაც შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს. ესეც აზარტია... ითამაშონ დიდი ფეხბურთი სწორედ ჩვენი ხელმძღვანელობით, ითამაშონ საქართველოს ნაკრებში, ითამაშონ ევროპის რომელიმე ტოპჩემპიონატში... ესეც ძალიან დიდი აზარტია...

ადრე რა შეცდომებიც იყო, ისინი უნდა აღმოიფხვრას. საშემსრულებლო ოსტატობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამას თუ გამოვეკიდებით, ფაქტობრივად, ვერაფერს გავაკეთებთ. უნდა შევეცადოთ, რომ ამ კომპონენტში მოვუმატოთ ინდივიდუალური ვარჯიშების დროს...

თუმცა, ეს არ არის ყველაზე მთავარი. ყველაზე მთავარი იყო სელექცია, რომელიც მართული იყო მხოლოდ ერთ სქემაზე. ამ სქემაში ჩვენი ხედვებიც ჩავდეთ. ცოტა განსხვავებული, მაგრამ შესაძლებლობა არ იყო...

გარდა ამისა, ყველაზე მთავარი პრობლემა იყო ის, რომ როცა ჩვენ გვჭირდებოდა გადალაგება, ამას ვერ ვახერხებდით, რადგან არ იყო პოზიციებზე ამის საშუალება. საჭირო იყო კომპეტენტური სპორტული დირექტორის მოყვანა. ვთვლი, რომ სწორედ ალექსანდრე რეხვიაშვილის მოყვანით დაიწყო იმ რეფორმების განხორციელება, რომლებიც ახლა ხდება თბილისის დინამოში. მიმდინარეობს პირველ გუნდის რეორგანიზაცია. არიან ფეხბურთელები, რომლებიც დატოვებენ გუნდს და არიან ფეხბურთელები, რომლებიც დაგვემატებიან. რა დინამიკაშიც მიდის ახლა სელექციის პროცესი, ძალიან კმაყოფილი ვარ იქედან გამომდინარე, რომ შეიძლება პირველივე დღიდან ჩვენთან ერთად იყოს ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც ჩვენ გვინდა და რომელთაც გვაწვდის ჩვენი სპორტული დირექტორი. მან აიღო ეს ფუნქცია საკუთარ თავზე და სელექციას აკეთებს სწორედ სპორტული დირექტორი.

მიდის ყოველდღიური მუშაობა. დავიმატეთ კიდევ ერთი ფეხბურთელი – ბელარუსის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის ფეხბურთელები, ვისზეც აკეთებს კლუბი აქცენტს, პირველივე დღიდან იქნებიან ჩვენთან ერთად...

წეღანაც ვთქვი – მე-2 ადგილი დინამოსთვის ვერასდროს იქნება წარმატება, ამიტომ ჩემპიონობა არის მიზანი. გუნდში იმ რაოდენობის ფეხბურთელები გვეყოლება, რომ თასზეც აუცილებლად ვიბრძოლოთ. როტაციამ საშუალება უნდა მოგვცეს, რომ ორივე ტურნირზე ვიბრძოლოთ უმაღლესი მიზნებისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია შეცვლაზე იმავე დონის ფეხბურთელის შეყვანა, რა დონისაც არის სასტარტო მოთამაშე და ამით თამაშის გაძლიერება. ერთ ადგილზე უნდა იყოს, სულ მცირე, 2 თანაბარი ძალის ფეხბურთელი. კონკურენცია – ეს არის წარმატების მომტანი. სადაც კონკურენცია არ არის, იქ არასოდეს იქნება წინსვლა. ამიტომ, ეს მომენტები, სელექციიდან გამომდინარე, ყველაზე მთავარია.

როდესაც ჩავატარეთ პრესკონფერენცია, ალექსანდრე რეხვიაშვილმა გეგმაზე იქ ისაუბრა. დაახლოებით 3 წლის შემდეგ ფეხბურთელების სადღაც 80% უნდა იყოს ჩვენი აკადემიის აღზრდილი. ჩვენ ამაზე მუშაობა უკვე დავიწყეთ.

ყველამ დაინახა, რომ უკვე ბოლო თამაშში, ან თუნდაც ბოლო რამდენიმე თვე, განაცხადში მინიმუმ 10-12 ფეხბურთელი გვყავდა აკადემიიდან. დავინახეთ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი და კიდევ გავაგრძელებთ მუშაობას. ისინი, რომლებზეც აქცენტი გავაკეთეთ, იქნებიან სულ პირველ გუნდში. აღარ იქნება გადართვა-გადმორთვები.

ის ფეხბურთელები, რომლებმაც დაიმკვიდრეს ადგილი პირველ გუნდში, პირველივე დღიდან დაიწყებენ ჩვენთან მუშაობას. მეორე გუნდში სხვა ფეხბურთელებს მიეცემათ თავის წარმოჩენის საშუალება – ანუ, იმის საშუალება, რომ სამომავლოდ, ერთი წლის შემდეგ, მათაც ამოიწიონ პირველ გუნდში...

პირველ რიგში, ამ უარყოფითი წლის შემდეგ, ჩვენს გულშემატკივარს უნდა ვთხოვო, რომ რაც შეიძლება, მალე დაივიწყოს ეს წელი. ასევე, მინდა ვთხოვო, რომ გვერდში დაგვიდგნენ მომავალი წლიდან! ეს არის ყველაზე მთავარი!

მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი: როცა ნეფთჩისთან გვქონდა საშინაო თამაში, ძალიან დიდი სტიმული მომცა გულშემატკივრის დამოკიდებულებამ. შედეგი იყო უარყოფითი, მაგრამ გულშემატკივარმა დაინახა ძალიან დიდი მონდომება. სხვათა შორის, საკმაოდ ხარისხიანი ფეხბურთი იყო, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. ამისთვის მადლობა ქომაგებს.

გასაგებია, რომ თბილისის დინამოს გულშემატკივარს ცოტა სხვა მოთხოვნები აქვს. ჩვენი მიზანია და ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება ის, რომ დინამო ევროტურნირების ჯგუფში მოხვდეს. მათ მინდა ვთხოვო გვერდში დგომა. ყველა ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც მოედანზე რამდენიმე ათას კაცს დაინახავს. ამით დიდი მოტივაცია ექმნებათ, რომ ეს ხალხი გაახაროს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოხვიდეთ და გვერდში დაუდგეთ დინამოს. ყველამ საკუთარი საქმე ვაკეთოთ: თქვენ მოხვიდეთ და მხარი დაგვიჭიროთ, ჩვენ – გაგახაროთ.

შეგახსენებთ, რომ თბილისელებმა სეზონისწინა შეკრებამდე დაიმატეს: 22 წლის მეკარე დავით კერესელიძე, 21 წლის მცველი გოდფრი ბიტოკი, ასევე შემტევები – 21 წლის ალექსანდრ შესტიუკი და 24 წლის დიმიტრი ანტილევსკი ბელარუსები არიან, ხოლო 24 წლის სტანისლავ ბილენკი უკრაინელია.

მამარდაშვილი ვალენსიელია

ახალ წელს ახალი გუნდით შეხვდა ქართველი მეკარე გიორგი მამარდაშვილი. ჩვენებური ესპანურ ვალენსიაში ითამაშებს. მართალია, მამარდაშვილს ვალენსიურ კლუბში თამაშის გამოცდილება აქვს, მაგრამ აქამდე თბილისის დინამოს საკუთრება იყო. ესპანურმა კლუბმა იჯარით გაათხოვრებული მეკარის გამოსყიდვის უფლება გამოიყენა და გიორგი სრულად გამოისყიდა.

კონტრაქტი 2+2 სისტემით გაფორმდა. 21 წლის ქართველი მეკარის სანაცვლოდ, თბილისის დინამო 800.000 ევროს და მომავალი ტრანსფერიდან 10%-ს მიიღებს. ჩვენებურის გამოსასყიდი თანხა 20-დან 30 მილიონ ევრომდე მერყეობს.

კლუბის განცხადებაში ნათქვამია:

– ვალენსიამ ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტი აამოქმედა და მამარდაშვილის კონტრაქტი გამოისყიდა. ახალგაზრდა მეკარემ ვალენსიას საკუთარი მომავალი 2024 წლის ივნისამდე დაუკავშირა და ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტის მიხედვით, კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივებაა შესაძლებელი.

ვალენსიამ თანხის ნაწილი უკვე გადაიხადა, ხოლო სრულად 1 ივლისამდე დაფარავს. თუ ვალენსია ქართველი ფეხბურთელის გაყიდვას გადაწყვეტს, დინამო მომდევნო ტრანსფერიდან 10%-ის მიიღებს.

ქართველის ტრანსფერს გამოეხმაურა ესპანური მედია:

– ვალენსიამ გიორგი მამარდაშვილის გასაფორმებლად ბოლო ნაბიჯი გადადგა და თბილისის დინამოსთან გაფორმებულ კონტრაქტში ჩადებული პუნქტის მიხედვით, მეკარის კონტრაქტი 800.000 ევროდ გამოისყიდა. ქართველი მეკარე ვალენსიაში 2024 წლის ზაფხულამდე დარჩება და კლუბს მისი ხელშეკრულების 1 წლით გახანგრძლივების უფლება ექნება. მამარდაშვილის გამოსასყიდი თანხა 20 მილიონი ევრო იქნება, რომელიც ეტაპობრივად გაიზრდება. იმ შემთხვევაში თუ ვალენსიამ მეკარე გაასხვისა, თბილისის დინამო გიორგის სატრანსფერო ღირებულების 10%-ს მიიღებს.

გიორგი
მამარდაშვილი

მამარდაშვილი ვალენსიაში ზაფხულში გადავიდა, რათა სარეზერვო გუნდი გაეძლიერებინა, მაგრამ წინასასეზონო ეტაპისას, ბორდალასზე შთაბეჭდილება მალევე მოახდინა. იასპერ სილესენისა და ხაუმე დომენეკის ტრავმამ ქართველს შანსი მისცა. ვალენსიას 2-მა მეკარემ რამდენიმე კვირა გამოტოვა, რის გამოც ამხანაგურ შეხვედრებში გიორგიმ ითამაშა და აჩვენა, რომ ვარჯიშებისას მისი კარგი თამაში შემთხვევითობა არ ყოფილა. ახალგაზრდული ასაკისა და უმაღლეს დონეზე თამაშის გამოუცდელობის მიუხედავად, მამარდაშვილმა ყველას დაანახა, რომ შესანიშნავია არა მხოლოდ ვარჯიშებზე, არამედ მნიშვნელოვანი მატჩების დროსაც.

ლა ლიგის სტარტისას, ბორდალასმა ფსონი მამარდაშვილზე გააკეთა და ხეტაფესთან გამართულ შეხვედრაში მეკარემ საკუთარი გუნდი გადაარჩინა. ვალენსიამ თითქმის მთელი მატჩი კაცნაკლულმა ჩაატარა და გიორგიმ მე-2 ტაიმში „ღამურები“ რამდენჯერმე იხსნა. ამის შემდეგ რამდენიმე კარგი მატჩი ჩაატარა, მაგრამ სევილიასთან შეცდომები დაუშვა. სილესენის გამოჯანმრთელების შემდეგ, ბორდალასი მიხვდა, რომ დრო იყო, ახალგაზრდა მეკარე არ გადამწვარიყო და ცვლილებები განახორციელა. კარში ნიდერლანდელი ჩადგა, მამარდაშვილმა კი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, მაგრამ სათასო მატჩებშიც არ უთამაშია. მწვრთნელმა ეს გადაწყვეტილება პრაქტიკული მიზეზების გამო მიიღო, მაგრამ სექტემბრის შემდეგ კორონას, მურტისა და ბორდალასს შორის შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვითაც, მამარდაშვილის კონტრაქტის გამოსყიდვა გადწყდა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მამარდაშვილი ვალენსიაში გასულ ზაფხულს 1-წლიანი იჯარით გადავიდა, მაგრამ გამოსყიდვის უფლებით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველომ წააგო, ბასილაშვილი გამოაკლდა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში დაიწყო ატპ თასის 2022 წლის გათამაშება, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს.

16 გუნდი 4 ჯგუფშია გადანაწილებული. საქართველოს დ ჯგუფი მოხვდა არგენტინის, საბერძნეთისა და პოლონეთის ეროვნულ გუნდებთან ერთად. სეზონი ჩვენებმა არგენტინასთან (0:3) მარცხით დაიწყეს: ალექსანდრე მეტრეველი ფედერიკო დელბონისთან დამარცხდა, ნიკოლოზ ბასილაშვილი – დიეგო შვარცმანთან, ხოლო საბა ფურცელაძე-ზურა ტყემალაძის წყვილი მაქსიმო გონსალეს-ანდრეს მოლტენთან დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ სამივე მატჩის ანგარიში იდენტურია – 1:6, 2:6.

ჩვენივე ჯგუფში პოლონეთმა საბერძნეთს 2:1 აჯობა. ქართველი ჩოგბურთელები მომდევნო მატჩს პოლონეთთან გამართავენ, ხოლო ჯგუფს საბერძნეთთან მატჩით დახურავენ.

გეტყვით იმასაც, რომ ნაკრებს გამოაკლდება ბასილაშვილი, რომელიც კორონავირუსის შემდეგ ფორმაში ვერ შევიდა.

შედეგები

1 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-სიტი	1:2
უოტფორდი-ტოტენჰემი	0:1
კრ.პალასი-ვესტ ჰემი	2:3

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	21	17	2	2	53-13	53
2.ჩელსი	20	12	6	2	43-14	42
3.ლივერპული	19	12	5	2	50-16	41
4.არსენალი	20	11	2	7	33-25	35
5.ვესტ ჰემი	20	10	4	6	37-27	34
6.ტოტენჰემი	18	10	3	5	23-20	33
7.მანჩესტერი	18	9	4	5	30-265	31
8.ვულვზი	18	7	4	7	13-14	25
9.ლესტერი	18	7	4	7	31-33	25
10.ბრაიტონი	18	5	9	4	17-18	24
11.კრ.პალასი	20	5	8	7	29-30	23
12.ასტონ ვილა	18	7	1	10	24-28	22
13.საუთჰემტონი	19	4	9	6	20-29	21
14.ბრენტფორდი	18	5	5	8	21-25	20
15.ევერტონი	17	5	4	8	21-29	19
16.ლიდსი	18	3	7	8	18-36	16
17.უოტფორდი	18	4	1	13	22-36	13
18.ბარნლი	16	1	8	7	15-24	11
19.ნიუკასლი	19	1	8	9	19-42	11
20.ნორვიჩი	19	2	4	13	8-42	10

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბლექპული-ჰალი	1:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფილიპინებსა და ინდონეზიაში მზარდი „პურის ხედ“ წოდებული ტროპიკული მცენარე; 2. ბარიტის საბადო რაჭაში; 3. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 4. დეტექტიური ჟანრის ფუძემდებლად მიჩნეული ამერიკელი მწერალი; 5. რამდენიმე ქვემეხის ერთდროული, ხშირი სროლა; 6. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 7. ეკლესია თბილისში; 10. ისტორიული სახელმწიფო მცირე აზიაში; 11. მოულოდნელი საჩუქარი; 12. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 13. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 16. ომის დროს მოპოვებული სამხედრო ქონება, ნადავლი; 18. შებოლილი ძეხვი; 19. დამარილებული და გამომშრალი ბატის ხორცი; 21. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 24. მაგიდა სადურგლო სამუშაოებისთვის.

თარაზულად: 1. ცირკის მასხარა; 3. ანჩხლი, ავი დედაკაცი; 8. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. ეკვადორის დედაქალაქი; 14. გერმანიის კანცლერი; 15. ჰერმეტული კამერა წყალქვეშა სამუშაოებისთვის; 17. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 20. ტელეგრაფით გაგზავნილი სასწრაფო შეტყობინება; 22. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 23. ლომების ჯოგი; 25. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 26. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 27. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 28. პატარა ზარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მსგეფსი; 2. იამოტო; 3. ჩატურანგა; 4. ფელბსი; 5. რელიქვია; 7. არგო; 11. ცისკარი; 13. კამვოლი; 15. ღალღა; 16. ჰერტა; 18. ვისლა; 19. ბახში.

თარაზულად: 6. სეზარი; 8. ვახშამი; 9. გოლეული; 10. ფოლორცი; 12. გოთუა; 14. ლიძავა; 17. გემოვნება; 20. სვანეთი; 21. აღლუმი; 22. ლაქშმი; 23. ჯარგვალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხოტი; 2. ილი; 3. სერენადა; 4. კუ; 5. აკაპულკო; 6. ლელა; 7. კარდიფი; 10. ბონი; 11. ლივერპული; 12. კაბინეტი; 13. გირი; 16. ოფელია; 18. რიტუალი; 19. ოპიუმი; 21. ჯუნტა; 24. მსაჯი.

თარაზულად: 1. ხარფუხი; 3. სულიკო; 8. სკლერა; 9. რაბი; 14. უნცია; 15. სინხუა; 17. ბუღა; 20. დურუჯი; 22. კრინი; 23. პანამა; 25. სნო; 26. ლარი; 27. პუმა; 28. ამპლიტუდა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0892

ევრო — 3.4991

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1710

100 რუსული რუბლი — 4.1236

ამინდის პროგნოზი 3 იანვრისათვის



მესის კოვიდი დაუდასტურდა



პსჟ-ში რამდენიმე ფეხბურთელს კოვიდი დაუდასტურდა და მათ შორის არის ლიონელ მესიც.

მესის მეუღლემ ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა და განაცხადა, რომ ლეო თავს კარგად გრძნობს.

ბუნებრივია, მესი იზოლირებულია და ის პსჟ-ს მინიმუმ რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს. გულშემატკივარი მესის სწრაფ გამოჯანმრთელებას უსურვებს.

სოციალური ქსელი უკვე სავსეა მსგავსი მესიჯებით.

კოუტინიო ბრაზილიაში დაბრუნდება?

ბარსელონას ბრაზილიელ ნახევარმცველს ფილიპე კოუტინიოს სამშობლოში დაბრუნება სურს და მას რამდენიმე კარგი ვარიანტი აქვს.

ერთ-ერთი ფლამენგოა, სადაც საკმაოდ ბევრი ფული ტრიალებს და კოუტინიოს მაღალი ხელფასი ექნება. მეორე ვარიანტი პალმეირასია, თუმცა იქ თვითონ ფეხბურთელს არ სურს თამაში.

ბარსელონაში კოუტინიომ ნდობა დაკარგა და გუნდი მის გაჩერებას არ აპირებს.

ალვარო მორატა შესაძლოა ბარსელონაში აღმოჩნდეს

ტურინის იუვენტუსის ფორვარდი ალვარო მორატა შესაძლოა ესპანეთში დაბრუნდეს და საუბარია ბარსელონაზე.

მორატას ცოლმა მეგობრებს უთხრა, რომ წყვილი ესპანეთში ცხოვრებას აპირებს, თუმცა კონკრეტული ადგილი არ დაუსახელებია.

ბარსელონა აქტიურად ეძებს ახალ ფორვარდს და მორატა ერთ-ერთი ვარიანტია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

უზარმაზარი ვარანი სახლში შეიჭრა და ჩაძინებულ პენსიონერს გადაურბინა

ტაილანდის პროვინცია სამუტპრაკანში შხამიანი უზარმაზარი ვარანი საცხოვრებელ ბინაში შეიჭრა, ჩაძინებულ პენსიონერს გადაურბინა და კატა შეაშინა.

სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ემზადება ოჯახი სადილობისთვის. ქალი მაგიდაზე საჭმელს აწყობს, ამ დროს კი პენსიონერი ქალი მშვიდად თვლემს დივანზე. რამდენიმე წამში მოულოდნელად სახლში უზარმაზარი ვარანი შემოვარდება და ირგვლივ ყველას შეაშინებს.

რაღაც დროის განმავლობაში ვარანი გასასვლელის ძიებაში ოთახში აქეთ-იქით აწყდება, შემდეგ კი სათვალთვალო კამერამ დაუპატიჟებელი სტუმარი სახლის ეზოში დააფიქსირა.

– ბებია ძალიან შეშინდა, როდესაც დიდმა ხვლიკმა ზედ გადაურბინა. ის მოხუცია და მისთვის ძნელი იყო ფეხზე დროულად წამოდგომა. ხვლიკს შეეძლო, მისთვის ეკბინა და დიდი ტკივილი მიეყენებინა, – აღნიშნა პენსიონერი ქალის შვილიშვილმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 იანვრისათვის

ვერძი – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

გამომძიებელი დაზარალებულს ეკითხება:

– მითხარით, როგორ მიხვდით, რომ თქვენ ბინაში ვიღაც უცხო ადამიანი იმყოფებოდა?

– იცით რა, ჩვენ ოჯახში თავში უკნიდან სკამის ჩარტყმა მიღებული არაა!

●●●

ავტობუსში ორი ქალი ნასვამ მამაკაცს უყვირის:

– მე შენ გაჩვენებ!

– მე შენ მოგცემ...!

მამაკაცმა უსმინა, უსმინა და მერე ეუბნება:

– ლამაზებო, საყვარლებო, ვერ გადამიწყვეტია, რომელი თქვენგანი ავირჩიო...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, მე შენ ძალიან მიყვარხარ!

– იცი რას ვფიქრობ? მართლა რომ გყვარებოდი, სხვას გაჰყვებოდი ცოლად.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ საინტერესო წარწერები წავიკითხე...

– რა წარწერები?

– „აქ იყო, ლევანი“, „აქ იყო გურამი“.

– მერე რა, ეგ ხომ ჩვეულებრივი წარწერებია, რა არის მათში საინტერესო?

– საკუთარ კარადაში ვკითხულობდი...

●●●

პლაჟზე ულამაზესი ქალი მზეს ეფიცხება. გამოიარა მეზღვაურმა, დაინახა და ეუბნება:

– მე ამ ნავმისადგომთან ღუზას სიამოვნებით ჩავუშვებდი!

ქალმა უარით გაისტუმრა. გამოიარა მფრინავმა და ეუბნება:

– ამ აეროდრომზე სიამოვნებით დავეშვებოდი!

ქალმა ისიც უარით გაისტუმრა. გამოიარა მძღოლმა და ეუბნება:

– ამ ავტოდრომზე რამდენიმე წრეს სიამოვნებით დავარტყამდი!

ქალმა გაუღიმა, გაეცინა და თავისთან დაპატიჟა. ისადილეს, დალიეს და შემდეგ საწოლს მიაშურეს. მძღოლი გადატრიალდა და დაიძინა. გაოგნებული ქალი ეკითხება:

– და აკი რამდენიმე წრეს დავარტყამო?

– ნასვამი საჭესთან არ ვჯდები.

●●●

– წითელქუდა! – წამოიძახა გოგონას დანახვაზე მგელმა.

– ბეწვის ქურქი! – წამოიძახა გოგონამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დავით ლეკაშვილი „ნიჭიერის“ გამარჯვებულია

„ნიჭიერის“ მეათე საიუბილეო სეზონის გამარჯვებული საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიის თანამშრომელი, 25 წლის დავით ლეკაშვილი გახდა.

დედოფლისწყაროელმა ბიჭმა შეძლო და ყველა ფინალისტს თავისი გამორჩეული ნომრებით აჯობა – მან შესარჩევ ტურში ექსკავატორით ჟიურის ერთ-ერთ წევრს, თიკა ფაცაციას, ხელებზე ფრჩხილის ლაქი წაუსვა.

მანვე ნახევარფინალში ექსკავატორით ჭიქები ერთმანეთზე პირამიდის ფორმაზე დააწყო, შამპანური გახსნა და ჭიქებში ჩაასხა. ფინალში კი ექსკავატორით ჯერ ჩოგბურთი ითამაშა, შემდეგ კი ნაძვის ხეს თავზე ვარსკვლავი დაადგა.

დავით ლეკაშვილმა „ნიჭიერში“ გამოჩენისთანავე დაიმსახურა მაყურებლისა და ჟიურის მოწონება და შოუს გამარჯვებულიც ის გახდა.

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ თათია თექთურმანიძემ და ოთო ფოლადაშვილმა დატოვეს

მეათე საკონკურსო ტურში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ თათია თექთურმანიძემ და ოთო ფოლადაშვილმა დატოვეს.

კონკურსანტები სოფო შევარდნაძემ, ნინო სუხიშვილმა, შორენა გაჩეჩილაძემ და გოჩა ჩერტკოევმა შეაფასეს.

საკონკურსო ტურის დასრულების შემდეგ, გავარდნის კანდიდატებად თი მაჭავარიანი და ერეკლე გირგვლიანი და თათია თექთურმანიძე და ოთო ფოლადაშვილი დასახელდნენ. მაყურებლისთვის თავისი ფავორიტის მხარდასაჭერად ბოლო ერთი წუთის ამოწურვის შემდეგ კი შოუს თათია და ოთო გამოეთიშნენ.

„რუსთავი 2“-ზე გადაცემა „თოლქ შოუ“ დაიხურა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გადაცემა „თოლქ შოუ“ დახურა.

გადაცემის წამყვანები სტეფანე მღებრიშვილი, რუსკა მაყაშვილი, მარიამ სანოგო, ნატა ასათიანი და ნელი აგირბა იყვნენ.

ინფორმაცია ნელი აგირბამ გაავრცელა:

– გაურკვეველი პერსპექტივა გაირკვა, თოლქი დახურულია. მადლობა ყველას, ვინც შექმნა, ვინც მონაწილეობდა, ვინც უყურა. სამსახურის, ანუ რაიმე ანაზღაურებადი და სიკეთის მომტანი საქმიანობის შემოთავაზებების მიღებას გახსნილად ვაცხადებ.

არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი გარდაიცვალა



87 წლის ასაკში არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია სამხატვრო აკადემიამ გაავრცელა:

– თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და არქიტექტურის ფაკულტეტი, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გიორგი (გიგა) ბათიაშვილი. თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის აკადემიის, საქართველოს საინჟინრო და სხვა აკადემიების აკადემიკოსი, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის, სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატი, პროფესორი, დოქტორი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი, რომელმაც გაზარდა სტუდენტების არაერთი თაობა და რომელსაც 2012 წელს, პუბლიცისტურმა ენციკლოპედიამ მიანიჭა „საუკუნის ადამიანის“ წოდება.

შეუფასებელია ბატონი გიგა ბათიაშვილის ღვაწლი როგორც ჩვენთვის – სამხატვრო აკადემისთვის, სტუდენტებისა და მისი კოლეგებისთვის, ისე მთელი ქვეყნისთვის. სამხატვრო აკადემიის და არქიტექტურის ფაკულტეტის უკლებლივ ყველა თანამშრომლის სახელით ვუსამძიმრებთ ბატონი გიგას ოჯახის წევრებს, მეგობრებს და კოლეგებს ამ აუნაზღაურებელ დანაკლისს.

დაკრძალვა 3 იანვარს, სიონის საკათედრო ტაძრიდან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. თავდავიწყებამდე მისული უკიდურესი აღფრთოვანება; 2; საქართველოში გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ხე; 3. საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა; 4. უღელტეხილი კავკასიონზე; 5. შვეიცარიის ისტორიული სახელწოდება; 7. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 11. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 13. გულში ნადები ბოღმა, შური; 15. მოედანი პარიზში, სადაც ტარდებოდა სიკვდილით საჯარო დასჯა; 16. გზისპირა კაფე-სასაუზმე ესპანეთში; 18. მომკილი ხორბლის უთავთავო ღეროები; 19. უმცროსი მეზღვაური გემზე.

თარაზულად: 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 9. მარნეულის ძველი სახელწოდება; 10. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. რომაელი პოეტი, „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 17. ეკონომიკის დაქვეითება, კრიზისი; 20. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 21. ისრაელის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 22. უღრანი ტროპიკული ტყე; 23. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა